№ 33.

წელიწადი პირველი

# ივერია

13 ოქტ. 1877 წ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხელის მოწერა: ტფილისს, „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

„ივერიის“ ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, გაგზავნით და გაუგზავნელად . . . 6 მან. —
თითო ნომერი . . . . . . . . . . . . . . . . — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.

განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

**საძიებელი.** I. საქართველოს მატიანე:—II. საპოლიტიკო მიმოხილვა.— III. საპოლიტიკო ამბები: საფრანგეთი, ავსტრო-ვენგრია, ოსმალეთი.—IV. ომის ამბები.—V. მგზავრის შენიშვნები. —VI. ჩვენის ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა—VII. ბრძოლა რომის დასაპყრობლად.—VIII. განცხადება.

## საქართველოს მატიანე

**ტფილისი.** 1-ს ნოემბერს ჩვენში უნდა მოხდეს სოფლის მოხელეთა არჩევანი. მაგრამ საკითხავი ის არის, მოხელეთა გამოცვლით, გამოიცვლება საკეთილოდ გლეხთა ბედიცა თუ არა. არა მგონია, ურია და მისი შვილი ორივ ღმერთმა დასწყევლოსო, იტყვის ამაზედ გლეხი, იმიტომ-რომ იცის მის სურვილს ამალა არა აქვს.

ვის არ გაუგია ის სამდურავი, რომელიც ისმის ყოველის მხრით დიდისა და პატარისაგან სოფლის მოხელეებზედ. ამ მოხელეების კმაყოფილნი არც ხალხია და არც თვითონ მთავრობა. ამის მიზეზი მრავალია და მრავალთა შორის ღირსშესანიშნავია ის, რომ სოფლის მოხელეთა არჩევანი უთავ-ბოლოობით გაქარწყლებულია, წამხდარი და გაუპატიურებულია. არავინ დასდევს, არავინ ზრუნავს, რომ არჩევანი მართლა არჩევანი იყოს და არა არჩევანის ბერიკანაობა. ხალხსაც ამ ბერიკანაობის მაყურებელს გული წაუხდა; ხალხმა დააჯერა გული, რომ მის ნებას არავინ კითხულობს, მის სურვილს არავინ დასდევს,—და იმ ნებასაც და იმ სურვილსაც გულში იმარხავს შიშითა თუ სიფთხილითა ამიტომაც თავზედ წამოაჯდებათ ხოლმე იმისთანა მოხელე, რომელიც არც სურვებიათ და არცა სურთ.

ამ მიზეზის სათაური კიდევ ის არის, რომ არჩევანის დამწყობთა და გამგებელთა დავიწყებიათ, რომ თავი და ბოლო სოფლის მოხელეობის წარმატებისა რიგიანი არჩევანია და რიგიანი არჩევანი კიდევ მაშინ იქმნება, როცა ამომრჩეველი სრულად თავისუფალია არჩევანში. ამიტომაც ისინი მეტად კმაყოფილნი არიან ხოლმე, როცა ხალხს იასაულების მათრახით მორეკენ, ერთს-ორს დააყვირებენ, ეს კაცი გვინდაო, ჩასწერენ ამას ქაღალდში და წარადგენენ, საცა ჯერ არს, დასამტკიცებლად. მორჩა და გათავდა, არჩევანი შესრულდა. გულმტკივნეული გლეხი კი გულჩათუთქვილი დადუნავს ხოლმე თავს და წავა შინ თავის ქნევით. ნუ თუ ეს მართალი არჩევანია და არა არჩევანის სასაცილოდ აგდება! ნუ თუ ამ გვარს თამაშას შეუძლიან კეთილგონიერი გლეხი მიიზიდოს! ამიტომაც გლეხი ურჩობს არჩევანსა, ერიდება, თუ შეეძლება, გაექცევა კიდეც, ამიტომაც არჩევანის გამგებელნი იძულებულ არიან ჯოხით და მათრახით მორეკონ და შეაგროვონ გლეხნი, თორემ გლეხი ნებით არ მივა არჩევანში, რადგანაც არც იმედი აქვს სიტყვა გაიყვანოს და არც თავისუფლება—თავისი სურვილი გამოაცხადოს. ამომრჩეველი მოხელეებისა უფრო ბევრგან პრისტავია ხოლმე. . . .გლეხთა ყოფნა არჩევან ში მარტო თვალისათვის არის და არა საქმისათვის.

საწყალი გლეხი! რაც უნდა კეთილი საქმე დაუწყოთ, ბოროტად გადექცევა ხოლმე. საკვირველს ბედზედ არის გაჩენილი ეს ჩვენი გამომკვებელი, ჩვენი მარჩენელი სოფელი...

ნუ თუ არა ეშველება რა, რომ ეს სასაცილო და უგვანი არჩევანი რიგიან არჩევანად გადაქცეს? ნუ თუ არას გზით არ მოევლება, რომ გლეხმა თავისუფლად, უშიშრად გამოჰსთქვას თავისი სურვილი მასზედ, თუ ვის ირჩევს და ვის არა. რა არის ამისათვის საჭირო?

პირველი ის არის, რომ არც ერთი პოლიციის მოხელე არ გაერიოს არჩევანში არას გზით და არა საქმისათვის. სასტიკად უნდა აეკრძალოს რომ არც ერთი მათგანი არც კი ეჩვენოს ხალხს არჩევანის დროს.

მეორე ის არის, რომ წინადვე, ვიდრე არჩევანი გაიმართება, შეჰსდგეს ჯეროვანი სია ამომრჩეველთა გლეხთა იმ კანონის მიხედვით, რომელიც ამისთვის დაწესებულია.

მესამე კიდევ ის, რომ არჩევანი დაფარულის კენჭის ყრით მოხდეს ხოლმე, უსათუოდ დაფარულის კენჭის ყრით და ყოველი არჩევანი უამისოდ მოხდენილი უარყოფილი იქმნას.

სიების შედგენა, მათი შემოწმება და აგრეთვე თვალ-ყურის ჭერა მასზედ, რომ ამორჩევა დაფარულის კენჭით იყოს, მიენდოს საკუთრად ამისათვის დანიშნულთ მთავრობის კაცთა და თუ ეს ვერ მოხერხდება, გუბერნიის გლეხთა სასამართლოს წევრთა რომელთაც სასტიკად ებრძანოსთ, რომ გარდა ამისა, არა ვითარი მონაწილეობა არ მიიღონ თვით არჩევანში და თუ ამაზედ საჩივარი რამ იქმნას, სწრაფად გაისინჯოს და დამნაშავე სასჯელს მიეცეს პირმოუფერებლად და დაუზოგავად.

ჩვენ არ ვიტყვით, რომ ყოველ ამით გამთელდეს გლეხთა თვით-მმართველობის წყლული; უგუნურება იქნება ჩვენგან, რომ ხსენებული ზომიერება უებარი წამალი გვეგონოს სათავეშივე გაბრუნდებულის საქმისა; უგუნურება იქმნება მარტო ამ ზომიერებაზედ დავემყაროთ და ვიღაღადოთ, რომ არსად საქმე არ გაბრუნდება და ყველგან რიგიანი არჩევანი მოხდება. ჩვენ ეს ზომიერებანი გაჩვენეთ იმ იმედით, რომ მათის წყალობით ცოტად თუ ბევრად არჩევანი ხალხის თავისუფალს სურვილზედ იქმნება მიგდებული და თავისუფალი სურვილი ხალხისა კიდევ ხადრიჯამად გვხდის რომ კარგს კაცებს მიჰსცემს მოხელეობას თუ ყველგან არა, ზოგან მაინც და არა ესე ხელადებით წამოისხამს თავზედ ზნეობით წამხდართა და მავნებელთა.

— ჩვენ შევიტყვეთ, რომ სოფ. ჩუმლაყში ხალხი თურმე ვენახების კრეფას შეჰსდგომოდა. შიშიანობის გამო მოვარდნილიყო ჩუმლაყში პოლიციის პრისტავი, დაეფთხო ხალხი, აქ რას აკეთებთო, ლამის ლეკებმა ქვეყანა აიკლონო,—და სულ ყველანი ტყეში გაერეკა. თუ ეს მართალია, მაშ რაღას ემდურიან კახელებს, რომ ლეკებს შეუშინდნენო. თუ მთავრობის მოხელენი ასე გულმაგარნი არიან და ასე გულს უმაგრებენ ხალხსა, საწყალმა უმწეო გლეხმა რაღა ქმნას, თუ ტყეში არ დაიმალება. როგორიც მღვდელიო, იმისთანა ერიო.

— კახეთში მოსავალი ღვინისა ძალიან ნაკლებ მოსულა. ღვინის ფასს ძალიან აუწევია. მთელი კახეთი სავსეა თურმე სირაჯითა. პური და ქერი კი ჯერ ისე არ გაძვირებულა როგორც ტფილისის მაზრაში და ქართლშია.

## საპოლიტიკო მიმოხილვა

საკვირველი რამ არის საფრანგეთის ქვეყანა. ხომ დამარცხდა კიდეც, ხომ გერმანიამ აგლიჯა ხუთი მილლიარდი ფული, წაართვა ქვეყნები, დაჰსცა, დაამდაბლა, ვითომ მიწასთანაც გაასწორა, ხომ ხელმწიფეც ჩამოაბრძანეს ტახტიდამ—ხომ სულ ეს საშინელნი ამბები დაემართა საფრანგეთს, მაგრამ მაინც ქვეყნის თვალი იმაზეა მიქცეული. აბა სად არ არის ხოლმე, მაგალითად, ერთის პალატის გადაყენება და ახლის ამორჩევა, მაგრამ აბა სხვა რომელის ქვეყნის პალატის გადაყენებამ და ახლის ამორჩევის ლოდინმა ესე შეაფუცხუნა მთელი ევროპა, როგორც საფრანგეთისამ. თითქმის მთელის ევროპის პოლიტიკა შეკრთა ამ ამბის გამო დაფერიც იცვალა იმის მიხედვით თუ ვინ რას მოელოდა საფრანგეთის არჩევანის შედეგად. 16 მაისამდე, ესე იგი, ძველის პალატის გადაყენებამდე, გერმანია ისე აშკარად არ თანაუგრძნობდა რუსეთს აღმოსავლეთის საქმეში, როგორც მასუკან. თუმცა გერმანიის იმპერატორი ზოგიერთჯერ ჩამოაგდებდა ხოლმე სიტყვას რუსეთის სასარგებლოდ, მაგრამ ბისმარკი ხმას არ იღებდა, და თუ იტყოდა რასმეს ამა საგნის შესახებ, ისიც ისე იტყოდა, რომ უფრო არა იყო, ვიდრე ჰო. ერთხანად ხმაც დააგდეს, რომ ბისმარკი სამსახურიდამ დაითხოვნას ლამისო, რადგანაც აღმოსავლეთის საქმის გამო იმპერატორს არ

ეთანხმებათ. იმის ხმაც დაგდეს ვითომ ამ შემთხვევაში გერმანიის ხალხიც ბისმარკისაკენ არისო და რამდენიმე ყრილობაც იყოვო, სადაც ხალხმა ეგ გამოთქვაო.

ხოლო მაკ-მაგონმა სალდათურად გაიქნივა ორივე ჴელი თუ არა და 16 მაისს გადააყენა ძველი პალატი, ესე იგი გაინაპირა რესპუბლიკელნი და ანაფორას ქვეშ ამოეფარა ბერებს, მღვდლებსა და მათს ამყოლს კლერიკალებს, გერმანია დიდს საგონებელში ჩავარდა. ბისმარკმა აშკარად რუსეთის მხარე დაიჭირა, ვითომ რა არის, თუ გამიჭირდა და საფრანგეთმა, კლერიკალების მოძღვრებით, ომი ამიტეხაო, რუსეთმა ზურგი გამიმაგროსო, როგორც ამას წინად გამიმაგრაო. რესპუბლიკელთ განაპირებამ და კლერიკალების ფეხზედ წამოყენებამ საფრანგეთში ბისმარკი შეაშინა იმოდენად, რომ თავის სახსენებლად იძულებულ იყო რუსეთის მხარე დაეჭირა. ევროპაში სხვაზედ, გარდა იტალიისა, მას იმედი ვერ ექმნებოდა, იმიტომ რომ ავსტრია დიდი ხნის გულნატკენია ბისმარკისაგან. თუნდ ეგეც არ იყოს ავსტრიაში დიდი გავლენა აქვთ დღეს აქამომდე კლერიკალებს, და სხვათაშორის ამის გამოც ავსტრია უფრო საფრანგეთის მხარეს დაიჭერდა, თუ იქ კლერიკალები გაიმარჯვებდნენ, ვიდრე გერმანიისას, რომელთანაც, როგორც ვჰსთქვით, ძველი ანგარიშებიცა აქვს გასასწორებელი.

ხოლო ინება ღმერთმა და საფრანგეთში გათავდა არჩევანი ახალის პალატის დეპუტატებისა, გათავდა და გამარჯვება მაინც კიდევ რესპუბლიკელთ დარჩათ, თუმცა ეს გამარჯვება ისე სრული არ არის, როგორსაც მოელოდნენ, კლერიკალებს კი და მათს მაგვარს პირში თითი გამოევლოთ მაშ ბისმარკს ცოტად გულზედ უნდა მოშვებოდა ამის გამო, და ჩვენის ფიქრით, ამ მოშვებაზედ მის პოლიტიკასაც ცოტა თუ ბევრად ფერი უნდა შეცვალოს აღმოსავლეთის საქმის თაობაზედ. აი ჯერ ესლაც სტამბოლიდამ ხმა გავრცელდა, რომ ვითომ გერმანიის ელჩი პრინცი რაისი მიმხრობია ავსტრიასაო, რომელიც შერიგების ფიქრს შეჰსდგომია თურმე სტამბოლში. ეს თუ მართალია, რუსეთის საწყენი საქმეა, იმიტომ რომ რუსეთს აღრეულად ვისიმე გარევა აღმოსავლეთის საქმეში სულაც არ უნდა და თვის წინააღმდეგობად მიაჩნია. მაგრამ ბისმარკი ფრთხილი და ეშმაკი კაცია. იგი ცხენს არ გააჭენებს, ვიდრე ორსავე სადავეს ხელში არ ჩაიგდებს და მაგრად არ დაიჭერს.

საქმე ესლა იმაზეა, ჰფიქრობს მგონია ბისმარკი, მაკ-მაგონი დაემორჩილება ამ აშკარად გამოთქმულს ხალხის სურვილსა და მით სრულიად დაამშვიდებს მეცა და სხვასაცაო, თუ ერთს სალდათურად კიდევ გაიქნევს ჴელებს, ხალხის სურვილს წინააღმდეგობას გაუწევსო და მით ისევ ღრუბლით დაჰფარავს მშვიდობის მზესა, რომელმაც ესლა ცოტად თავი გამოჰყო ღრუბლებიდამაო.

ამაზედ ტრიალებს ესლა ყველას აზრი, ვისაც კი საფრანგეთის პოლიტიკა ასე, თუ ისე შეეხება.

ბისმარკს ძალიან უნდა სურდეს, საფრანგეთის მხრით შიში თავიდამ აიცილოს, რომ აღმოსავლეთის საქმეში ისე მოიქცეს როგორც გული უთქვამს და არა ისე როგორც გარემოება იძულებულ ჰყოფს.

---

## საპოლიტიკო ამბები

**საფრანგეთი.** რას იქმს მაკ-მაგონი ამის შემდეგ, რომ მისმა წინააღმდეგმა დასმა გაიმარჯვა და ხალხმა აშკარად ხელახლავ დაუმტკიცა ქვეყანას, რომ რესპუბლიკა უნდა და არა სხვა რაიმე წყობილება. ამას ჰკითხულობს ყველა საფრანგეთშიაც და საფრანგეთის გარეთაც.

ერთის რუსის გაზეთის კორრესპონდენტი იწერება პარიჟიდამ, რომ მაკ-მაგონი ფიქრობსო, თუ რესპუბლიკელნი ძალიან გაიმარჯვებენ და ხალხი ძალიან ბევრს იმათგანს ამოარჩევს ახალის პალატისათვისო, მაშინ გადავდგები ჩემის თანამდებობიდამაო და იმავე დროს ამ თანამდებობას გადავცემ ერთს იმისთანა მონარხიელ ღენერალსაო, რომელსაც უფრო დიდი ხმა და გავლენა აქვსო. ხოლო მაკ-მაგონის მეუღლე, რომელსაც აუფლებია მის მოძღვარს აბბატს ბროლსა, ჰსცდილობსო, რომ ეგ თანამდებობა დაელოცოსო ლეგიტიმელს, რომელიც მაშინვე სახელმწიფო ტახტზედ დასვავს გრაფს შამბორსაო. უფრო საქმიანი კაცნი კი, მაგალითებრ, ეპისკოპოზი დიუპანლუ და მინისტრი ფურტუ ჰსცდილობენო ეგ თანამდებობა ბონაპარტელს ღენერალს ჩაუგდონო.

მართლა ამას ჰფიქრობენ თუ არა რესპუბლიკის მტერნი, არ ვიცით. ხოლო ამისი თქმა კი შეგვიძლიან, რომ თუ მაკ-მაგონი დაიძრა თავისის ადგილიდამ, რესპუბლიკელთ თავისი კაცი ჰყავთ რომ მის ადგილას დასვან. ეგ კაცი გრევია, რომელიც გამბეტამ აუარებელის ქებით მოჰფინა, როცა თავისი სახელოვანი სიტყვა წარმოჰსთქვა ამომრჩეველთა წინაშე ბელვილში (ერთი უბანია პარიჟისა) 28 სეკტემბერსა.

გამბეტამ კი თვითონ თავიდამ აიცილა ეგ თანამდებობა და ჰსთქვა სხვათა შორის: „ვიდრე მაგ თანამდებობას მივიღებდე, ჯერ ხალხს სამსახური უნდა გავუწიო და მით ღირსი გავხდე. როცა ღირსი შევიქმნები, მაშინ მივიღებ მაგ თანამდებობას ჩემთა თანამემამულეთაგანაო.“

საფრანგეთის გარეშე საქმეთა გამო კიდევ იმას ვიტყვით, რაც გვითქვამს: გერმანია დიდის ეჭვით უყურებს საფრანგეთსა და მასთან ავსტრიასაცა. რომ ამაზედ საბუთიანი მიზეზი აქვს გერმანიას ეგ ცხადად ჰსჩანს შემდეგის გარემოებიდამ. ტიერს თავის სიკვდილის ორის კვირის წინად, ამბობენ, ლაპარაკი ჰქონია ინგლისის ელჩთან ლაიონსთან პარიჟში და ამ ლაპარაკში სხვათა შორის უთქვამს: „ეხლა, როცა რუსეთმა თავისი ძლიერება დამარხა, კაი დროა ის უბედურობა მოვაცალოთ ევროპას, რომელიც მას შეემთხვევა ამ უკანასკნელს ოცს წელიწადში. ამაზედ ადვილი და შესაფერი არა იქმნება რა, რომ ავსტრიამ, ინგლისმა, საფრანგეთმა, დანიამ და გოლანდიამ ერთმანეთს მხარი მიჰსცენ და ერთად იმოქმედონ. ერთად უნდა ეცადნონ, საქმე განხეთქილებამდე მიიყვანონ და გარიყონ, გაასცალკევონ პრუსსია, რომელიც თავისდღეში ვერ გაუმაგრდება ამ ძლიერს ერთობასა. მაშინ შესაძლო იქნებოდა აღმოსავლეთის საქმე ისე დარჩეს როგორც იყო ომამდე, ოსმალო ხელ შეუხებლად იქმნას, ავსტრიამ თავისივე ადგილი დაიპყრას გერმანიაში, საფრანგეთმა და დანიამ დაიბრუნონ თავისი ჩამორთმეული ქვეყნები და გოლანდიამ თავისი თავი დაიხსნას, რომ გერმანიამ არ გადაჰყლაპოს.“ ლორდ ლაიონს ამაზედ არც არა უთქვამს და არც ჰო, მხოლოდ ღიმილი მოსვლია.

გაზეთი „Temps“ გვაცნობებს, რომ ამ რიგად მორიგდა სხვა და სხვა დასთა შორის არჩევანის კენჭით: სულ ამორჩეულნი 516 დეპუტატია, ამათ შორის 317 რესპუბლიკელია, 99 მონაპარტიელი, 45 მონარხიელი, 44 ლეგიტიმელი და 11 ორლეანელიო.

---

**ავსტრი-ვენგრია.** ავსტრი-ვენგრია მეტად კუდს იქნევს, ასე, რომ თვით ბისმარკსაც, ამ გულთამხილავს კაცსაც კი, ვერ გაუგია ბოლოს და ბოლოს ავსტრია ვის რაზმში ჩადგება. ამ მოკლე ხანში ინგლისს უცდია, ეგები როგორმე ანდრაშის შერიგების შუამდგომლობა მივაღებინოვო რუსეთისა და ოსმალოს შორისო, მაგრამ ანდრაშის გადაწყვეტილი უარი უთქვამს. ეს იმის ნიშანია რომ რუსეთთან მეგობრობის დარღვევა ჯერ მაინც და მაინც არა სურს ავსტრიასა. ამავე დროს ავსტრია ჯარს აგროვებს ტრანსილვანიაში ვითომ იმისათვის, რომ იქ რაღაც შეთქმულობა აღმოჩნდა ვენგრიელებისა და გულში კი მგონია სულ სხვა აზრით აგროვებს. ამავე დროს ავსტრია რუსეთის ერთგულს მომხრეს ჩერნოგორიას ემუქრება, ამას იქით ფეხი აღარ გადაჰსდგაო, თორემ მე ვიცი შენიო და ლამის ომი სრულად შეაწყვეტინოს. ერთის სიტყვით, ტოკავს აქედ-იქით ავსტრია. ახლა ამას ის დაუმატეთ რომ მოხერხებული ინგლისი, ოღონდ კი აღმოსავლეთის საქმეში მე მომემხროო და, იქნება, ჰპირდება ავსტრიას ძველის დარდების წამალს რაც გერმანიამ ჩამოართო, იმის დაბრუნებას, საფრანგეთთან კავშირს, გამარჯვებას პრუსსიაზედ და შეძენას დაკარგულის სახელისას და დიდებისას,— და მაშინ ცხადი იქნება ყველასათვის, რაც ატოკებს ავსტრიასა.

— პარიჟიდამ 8 ოკტომბერს დეპეშა მოვიდა, რომ აქ პოლიტიკის მოღვაწეთა შორის ხმა დადისო, ვითომ ავსტრიის მინისტრს ანდრაშის გამოუცხადებია, რომ რუსების გამარჯვება მცირე აზიაში კარგს შემთხვევას გვაძლევსო შერიგებისათვის შუამდგომლობის ცდას შევუდგეთო, მაგრამ ამაში თანხმობას მე არ მივიღებო.

---

**ოსმალეთი.** ჯერ იმოდენა დრო არ გასულა, რომ შეგვეტყო გაზეთებიდამ იმის ამბავი თუ რა მოახდინა მუხთარ ფაშის დამარცხებამ ოსმალეთში. 24 სეკტემბერს სტამბოლიდამ კი იწერებიან, რომ ოსმალეთი ყოველს ღონისძიებას ხმარობს სასტიკად და მედგრად დაუხვდეს მტერსა და განაგრძოს ბრძოლა მთელის ზამთრის განმავლობაშიაც. სამხედრო სამინისტრო ემზადება რომ თბილი ტანთ და ფეხ საცმელი დაურიგოს საზამთროდ ჯარს 400,000 კაცს ევროპაში და აზიაში. გაზეთი „Observer“-ი ამბობს, რომ ახალს რაზმებს ჯარისას აგროვებენო. იმ ჯარის გარდა, რომელიც ორხანიეში ჰყავთო დიდძალი ჯარი უყენიათ სოფიაშიო და აქედამ მიმავალი პლევნაში გზა სულ სანგლებით არის გამაგრებულიო. მესამე ლაშქარი ოსმალთა ადრიანოპოლშიაო გამზადებული წასასვლელად იქით, საიდაც საჭირო იქნებაო.

---

## ომის ამბები

— ვენიდამ გაზეთს „Голосъ"-ს ჰსწერენ 6 ოკტომბერს, რომ აქ ყოველგან ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევენ მუხთარ-ფაშის დამარცხებასაო. ყოველი გაზეთი, თვით ოსმალთა მომხრენიც კი, აღიარებენ, რომ ამ დამარცხებით ყოველივე ბრძოლა მცირე აზიაში გათავებულიაო.

— 5 ოკტომბერს გაზეთის Кавказъ-ის კორრესპონდენტი იწერება, რომ 3-ს ოკტომბერს ჩვენ ტყვედ დაგვრჩაო 26 ბატალიონი, ორი ღენერალ-ლეიტენანტი ომერ და რეშიდ ფაშები, ხუთი ღენერალ-მაიორი: შევკეთ, ომერ, ოსმან, მაჰმუდ და შტაბის უფროსი ჰასანი, ოცდა ათი შტაბ-აფიცერი, 211 ობერ-აფიცერი. 36 ზარბაზანი ავიღეთო, ორი ბაირაღი, და რამდენიმე ათასი თოფი. მუხთარი დაჭრილია. ჩვენი ზარალი 1,200 კაცია მკვდარი და დაჭრილიო.

— ხელმწიფე იმპერატორს უმაღლესად უწყალობებია მისის იმპერატორის უმაღლესობის კავკასიის მხედრობის მთავარ-სარდლისათვის წმ. გიორგის ჯვარი პირველის ხარისხისა.

— იგივე კორრესპონდენტი იწერება 9 ოკტომბერს კურუკ-დარიდამ: ყოველ დღე ვაჭერთ დაშთენილთ ჯარის კაცთა მუხთარის მხედრობისას. ტყვისა და დავლის რიცხვი ავიდა 280 აფიცრამდე, 7,000 ჯარის კაცამდე და 42 ზარბაზნამდე. მუხთარ ფაშა არზრუმს გაიქცა. ჩვენი ჯარი გარს შემოერტყა ყარსსა. უმთავრესი სადგური ჩვენის ჯარისა დიდ-თუქმაშია. *) ჩვენი ზარალი 3 ოკტომბერს შემდეგია: მკვდარია 7 აფიცერი, 223 ჯარის-კაცი, დაჭრილია 41 აფიცერი, 1,076 ჯარის-კაცი, გაკენწლილია 8 აფიცერი, 64 ჯარის-კაცი. ყველაზედ მომატებულად დაზარალდა ერივანის და გრუზინსკის პოლკები, რომელთაც ავლიარი აიღეს. იზმაილ-ფაშა უკან იწევს, მას კვალში უდგას და ჰსდევნის ერივანის ჯარი ტერ-ღუკასოვისა.

— მთავრობის დეპეშა კურუკდარიდამ 9-ს ოკტომბერს გვაცნობებს, რომ იზმაილ ფაშის ჯარი 2-ს ოკტომბერს დაჰსცემია 27-ის ბატალიონით ღენერალ ტერ-ღუქასოვის ჯარს, მაგრამ ჩვენ ჯარს უკუ-უქცევია. 4-ს ოკტომბერს ღამით იზმაილ ფაშა თავის ჯარით აყრილა თვის ბანაკიდამ და უკან წასულა. ტერ-ღუკასოვი უკან დაჰსდევნებია. 5-ს ოკტომბერს ხოპერის ყაზახებს პოდპოლკოვნიკის პედინის წინამძღოლობით მოუმწყვდევიათ სოფ. ზორასთან ოსმალთა გუნდი და სულ ტყვედ შეუპყრიათ; ტყვეთა შორის 23 აფიცერია და 200 ჯარის კაცი, დავლად დარჩომიათ სამი ზარბაზანი. ჩვენი ზარალი ორს ოკტომბერს 24 ჯარის კაცია, ისიც დაჭრილი და გაკენწლილი.

— 2-ს ოკტომბრიდამ სამხრეთის დაღისტანი დამშვიდდაო, შუა-დაღისტანში კი 3-ს და 4-ს ჩვენებს სროლა ჰქონიათ განდგომილებთან სოფ. ლავაშის ახლოს. ამ საქმეში ნაომარს ადგილს დარჩომილა 300 მკვდარი ლეკი და მრავალი ალმები, ცხენი და სხვა ქონება დაუტოვებიათ. ჩვენი ზარალი 24 ჯარის კაცია მკვდარი თუ დაჭრილი.

— დუნაიზედ და ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ კიდევ შესანიშნავი არა მომხდარა რა. სულეიმან ფაშა თავის ბინიდამ დაძრულა და უკან დაუწევია, ვითომ ავის დარებისა და ცუდის გზების გამო. პლევნას ახლო ჩვენი ჯარი სანგლებს იკეთებს და ისე მიდის წინ. ამბობენ, ჩვენი ჯარი ერთხელ კიდევ მივა პლევნაზედ იერიშითაო, თუ აიღო ხომ რა კარგი და თუ არაო, აქ ცოტას ჯარს დააყენებენო თვალყურის საჭერად და სხვას კი სხვაგან მიაშველებენო. პლევნიდამ ამას წინად ოცდაათი ჯარის-კაცი გამოქცეულა და ჩვენებთან გადმოსულა. ამათის სიტყვით, ოსმალოს ჯარი პლევნაში სურსათს მოკლებულია და ისე ღონე მიხდილიათ უჭმელ-უსმლობით, რომ ომის თავი აღარა აქვთო. ამბობენ, რომ ოსმალთ დაუცლიათ მეორე გრივიცის სანგარი, მხოლოდ ნიღაბები კი გაუკეთებიათ, რომ აფეთქონო, როცა რუსი შიგ შევაო.

— რუსის გამარჯვებამ მუხთარ-ფაშაზედ სერბიასაც მოუმატა ომის სურვილიო. ჩერნოგორიის მთავარს უბძანებია დათხოვნილი ამას წინად ჯარი ხელახლად მოგროვდესო.

ერთის სიტყვით, მუხთარ-ფაშის დამარცხებამ რუსეთის მომხრენი გააგულადა, ასე რომ ომში ჩარევას ლამიან რუსეთის სასარგებლოდ, რუსთა მოძულენი კი ცდილობენ, რუსეთი შეაყენონ და ურჩიონ ოსმალთან შერიგება.

---

*) ყარსს იქით, არზრუმის გზაზედ.

## ტფილისის სამხედრო გიმნაზიაში მისაღებ ეგზამენიებისა გამო

(დასასრული *).

ზემოხსენებულის საფუძვლის ძალით კავკასიის „ოკრუგის შტაბი" მიიღებს ხოლმე ყოველის მთხოვნელის არზას და ყოველს მთხოვნელსა, რამდენიც უნდა იყოს, აძლევს ნებას მოიყვანოს უმაწვილი გიმნაზიაში, თავის დროზე, გამოსაცდელის ეგზამენის დასაჭერად. მაგრამ, რადგანაც მთხოვნელები ძრიელ ბევრნი არიან, ხშირად მოხდება, რომ ეგზამენის დროს გროვდება სამასიდამ-ოთხას უმაწვილამდე, ადგილი კი ორმოცდა ათზე მეტი არაოდეს არ არის. წარმოიდგინეთ ეხლა ღარიბის მშობლების მდგომარეობა! იღებენ ვალს, ანუ ჰყიდიან რაც გააჩნიათ, აძლევენ მასწავლებელთ და ამ ყოფით მთელის წლის განმავალობაში ამზადებენ თავიანთ შვილებს იმ იმედით, რომ იმათ სახელმწიფო ხარჯით მიიღებენ. მოაწევს თუ არა ეგზამენის დრო, ჩამოჰყავთ შვილები საიდამ-სად ქალაქში, აქ ორი ან სამი კვირა ჰსცხოვრობენ სასტუმროებში, მინამ მისაღები ეგზამენები გათავდება, უკანასკნელ გროშს ხარჯვენ, და ბოლოს კი გიმნაზიის გამგეობა უცხადებს, რომ მათის უმაწვილის მიღება არ შეიძლება, რადგანაც მან ეგზამენი სხვაზე უფრო სუსტად დაიჭირა. რა ჰქნას ეხლა საბრალო მშობელმა? დაანებოს სულ თავი საქმეს,—როგორ დაანებოს? ერთი რომ მისი შვილი უსწავლელი დარჩება და სხვა წყარო ცხოვრებისა არა გააჩნია რა, მეორეც ამდენი ხარჯი სულ მუქთად ჩაუვლის. ამიტომ ის ვალზედ კიდევ ვალს უმატებს; ჰფიქრობს, რომ, ალბათ, ჩემი შვილის მასწავლებელი უხეირო ყოფილა, რიგიანად ვერ მოუმზადებიაო, და ეძებს სხვა მასწავლებელს **) იმ იმედით, რასაკვირველია, რომ მომავალ წელს მაინც ერგება მის შვილს გიმნაზიაში ადგილი. მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ვერც მეორე წელიწადს იჭერს მისი შვილი ეგზამენს, დარჩება საწყალი უმაწვილი კვლავაც მიუღებელი. ამასობაში დროც გადის და უმაწვილს ხანი ემატება. რადგანაც პირველ კლასში 12 წელს ზევით უმაწვილს არ იღებენ, ამიტომ მომავალში ის მეორე კლასისთვის უნდა მომზადდეს, და ამ კლასში, სხვა საგნებს გარდა, უცხო ენებსაც (ფრანგულსა და ნემეცურს) ჰკითხვენ. ამიტომ საქმე კიდევ უფრო ძნელდება. მაგრამ საბრალო მშობელი საქმეს მაინც თავს არ ანებებს და ამზადებს შვილს მეორე კლასისათვის. მოდის ეგზამენების დრო; მშობელს ჩამოჰყავს უმაწვილი გიმნაზიაში—ეს უკვე მესამედ, მგრამ უმაწვილი გიმნაზიაში მაინც ვერ შედის! ამას თუ ესეც დავუმატებთ, რომ ზოგჯერ ბევრნი საზოგადოდ რიგიანად იჭერენ მისაღებ ეგზამენს, მაგრამ ზოგიერთ მათგანს მაინც არ ხვდებათ ადგილი, რადგანაც ადგილები ცოტა არის და ეგზამენის დამჭერლები კი მრავალი არიან, მაშინ უფრო ცხადად დავინახავთ მშობლების სამწუხარო მდგომარეობას. წელს, მაგალითებრ, ორმოცი თუ ორმოცდა ათი ადგილი იყო თავისუფალი. ეგზამენის დროს შეიკრიბა სამასზე მეტი უმაწვილი. იმათგან მომეტებულმა ნაწილმა მიიღო რიცხვთა შუა ანგარიშით 8 ბალლი. მაშინ როდესაც 7-დიც საკმაოა, რომ უმაწვილი მიიღონ. მაგრამ რადგანაც ადგილები არ იყო, გიმნაზიის მთავრობამ აღმოარჩია ისინი, ვისაც 10 და 9 ჰქონდა და სხვებს ყველას უარი უთხრა. საწყალმა მშობლებმა არ იცოდნენ რა ექმნათ. წარსულს წლებში იმათ უარს ეუბნებოდნენ მისთვის, რომ მათმა შვილებმა ეგზამენი ვერ დაიჭირესო, წელს კი თუმცა ეგზამენი კარგად დაიჭირესო, მაგრამ მაინც კიდევ უარი უთხრეს, სხვამ უფრო კარგად დაიჭირაო. ბევრნი მშობლებთაგანნი მოთმინებიდგან გამოვიდნენ და უადგილო სიტყვებიც დასძრეს, მაგრამ საქმეს მაინც ვერა უშველეს რა.......... ზოგიერთნი უჩიოდნენ ეგზამენატორებს, რომ ვითომც ზოგიერთი მათგანი ფიცხელად და უდიერად ეპყრობოდნენ უმაწვილებს გამოცდის დროსაო. განსაკუთრებით გაბოროტებულნი იყვნენ ერთ პატარა იმათგანზე.....

იქნება ყველა ზემოდ ნათქვამი შესახებ თფილისის სამხედრო გიმნაზიისა გადამეტებულად გეჩვენოს, მკითხველო, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ სულ ყველ ფერი,

---

**) მასწავლებლობა ბოგანაც არ არის ძნელი ეხლა ჩვენში, რადგანაც ცრუ პედაგოგები ძრიელ გამრავლდნენ ამ ბოლო დროს. ცრუ ადვოკატებმა ტყავი გააძრეს ხალხს და ეხლა იმათ დასს ცრუ პედაგოგებიც მიემატნენ. ფულს წინდაწინ ართმევენ უმაწვილის პატრონებს, ჰპირდებიან მოგიმზადებთო და რაკი ფულს ხელში ჩაიგდებენ, რა დარდი აქვთ მიიღებენ თუ არა მათ მოწაფეებს სასწავლებელში. საბრალო მშობლებსაც იმოდენად ცოდნა და გამოცდილება არა აქვსთ, რომ გაარჩიონ ავი და კარგი.

*) „ივერია" № 31.

რაც გვითქვამს, ნამდვილი სიმართლეა. მე თვითონ ვიცი ისეთი მშობელი, რომელიც მას აქეთ, რაც მოხსენებული სამხედრო გიმნაზია დაარსდა, ყოველ წელიწადს ამზადებს თავის ყმაწვილს, ჩამოჰყავს ეგზამენიების დროს და ყოველთვის უკანვე მიჰყავს. ორ პირველ წელიწადს უარი უთხრეს, რადგანაც მისმა შვილმა კარგად ეგზამენი ვერ დაიჭირა, ხოლო წელს, თუმცა ყმაწვილმა რიგიანად გამოიარა ეგზამენი, მაინც კიდე უარი უთხრეს მისთვის, რომ მისმა ყმაწვილმა 8 მიიღო ეგზამენებში, სხვებს კი 9 და ათი ჰქონდათ.

ჩვენ ზემოთა ვჰსთქვით, რომ თფილისის სამხედრო გიმნაზიაში ყმაწვილებს როგორც თავის ხარჯით, ისე სახელმწიფო ხარჯით იყვანენ ყველას გაურჩევლად, როგორც მდიდრების, ისე ღარიბების შვილებს, „კონკურსის ეგზამენით." რადგანაც მდიდრებს შეუძლიანთ უფრო კარგად მოამზადონ თავიანთი შვილები, ვიდრე ღარიბებს, ქალაქში მცხოვრებლებს უფრო კარგად, ვიდრე სოფლელებს, ნასწავლ მშობლებს უკეთ, ვიდრე უსწავლელთ, ამიტომ ამ სასწავლებელში ყმაწვილების შეყვანაში პირველები სჯობიან და სჯაბნიან უკანასკნელებს: მდიდრების შვილებს გაღებული აქვსთ გიმნაზიის კარი, ღარიბებისას კი დახშული. ეს თუ ასეა, მაშ ცხადი მისახდომია, რომ თფილისის სამხედრო გიმნაზიის დაწესებით ჩვენ ღარიბ თავად-აზნაურებს უბრალო ხარჯისა, ტანჯვისა და ზიანის მეტი არაფერი მოჰმატებიათ რა.

მაშ რა პირობით უნდა ყოფილიყო დაწესებული ეს სასწავლებელი, რომ მას მოეტანა ცოტაოდენი მაინც სარგებლობა იმათთვის, ვინც უფრო საჭიროებს სახელმწიფო ხარჯით შვილების გაზრდას, ვინ ითხოვს მაგგვარის სასწავლებლის გამართვას, რომ მით მოეკლა აუცილებელი წყურვილი შვილების კაცად ქცევისა?

პირველად, რადგანაც ჩვენი ხალხი ღარიბი და გაუნათლებელია და ამიტომ არ შეუძლიანთ მშობლებს თვითონ თავიანთი შვილების მომზადება პირველის კლასისათვის, ამიტომ სამხედრო გიმნაზიას უნდა ჰქონოდა უსათუოდ მოსამზადებელი კლასი ისე, როგორც სამოქალაქო გიმნაზიებს აქვთ. მეორე, თუ მთავრობას თავად-აზნაურების თხოვნა და საჭიროება ჰქონდა მხედველობაში ამ სასწავლებლის დაფუძნების დროს, სახელმწიფო სტიპენდიები უნდა განაწილებია ყველა ჩვენის გუბერნიების ღარიბ თავად-აზნაურებთ შორის და სახელმწიფო ხარჯით უნდა მიეღოთ მარტო ნამდვილად ღარიბის მშობლების შვილები, ისე, როგორც სხვა სამხედრო გიმნაზიებში იღებენ, და არა ასრე გაურჩევლად. მესამე, შტაბს უნდა მხედველობაში ჰქონოდა, რომ თითო ადგილზე ორ-ორი და სამ-სამი მოცილე (კონკურენტი) საკმაო იყო და ამიტომ მათი რიცხვი განუსაზღვრელი არ უნდა ყოფილიყო ისე, როგორც ეხლა არის. ამითი ის დაიხსნიდა მშობლებს ამაო ხარჯისაგან. თუმცა ყველა ეს ასე უნდა ყოფილიყო, ჩვენის ფიქრით, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველ ამას მოკლებულია ჩვენი სამხედრო გიმნაზია.

ეხლა, რადგანაც ჩვენ საზოგადოებას, სიღარიბისაგამო თავის ხარჯით საშუალო სასწავლებლების გახსნა არ შეუძლია ყმაწვილებისათვის, ეს მაინც უშველოს საქმეს, დააწესოს საზოგადო მოსამზადებელი კლასები. მოსამზადებელი კლასების საგანი, რასაკვირველია, ის იქნება, რომ ამზადოს ყმაწვილები ყოველ-გვარის სასწავლებლებისთვის. ამგვარის კლასების დაარსება მიუცილებლად საჭიროა, რადგანაც ეხლა არც ერთ საშუალო სასწავლებელში არ იყვანენ ყმაწვილს უმისოდ, თუ წერა-კითხვა მაინც და რუსული ლაპარაკი არ იცის. მოსამზადებელი კლასები ძრიელ შეუმოკლებენ მშობლებს ხარჯს, რადგანაც მის ნაცვლად, რომ ყოველი მათგანი ცალკე და სათვითაოდ იხარჯება მასწავლებლებზედ თავის შვილების აღსაზრდელად, მთელის მოსამზადებელის კლასისათვის ორი ან სამი რიგიანი მასწავლებელიღა დაჰსჭირდებათ. არ იქნება ურიგო, რომ ამ კეთილსა და სასარგებლო საქმეში მიიღონ მონაწილეობა ჩვენმა საადგილმამულო ბანკებმა.

გ. ი.

1877 წ. 20 სეკტემბერს.

---

## მგზავრის შენიშვნები.

ამ დღეებში მომიხვდა სურამიდამ ქალაქში ჩასვლა რკინის გზით. სხვის ცოდვა რათ მინდა, ჩემიც ბევრი მაქვს, მაგრამ რკინის გზის გამგეთა უთავბოლობამ მანანა და ბევრი ბედიც ვიწყევლე. თუ გინდათ ნახოთ: რიგი, მართებულება და მოქალაქობა — გაიარეთ სურამიდამ ქალაქამდისინ ფოთი-თფილისის რკინის გზით, მაშინ ყოველს ამას თქვენის ბედნიერის თვალით ინახულებთ.

შუაღამისას ავედი ვაგზალში, რომ თავის დროზე მომესწრო და წავსულიყავ ქალაქისკენ. მაგრამ ნეტავი არ ავსულიყავ. ჩემ ბედზე მატარებელი (პოეზდი) დაგვიანებით მოვიდა: იმდენი გვალოდინა, რომ კინაღამ დამალი ჩამოგვივიდა. როგორც იყო ჩავსხედით მატარებელში. იგი დაიძრა და წავიდა. რამოდენი მანძილიც გავიარეთ, იმოდენად თან მოგზაურნი გვემატებოდნენ და ვიგრძენით ვიწროობა, ისე რომ საცა უნდა მსხდარიყვნენ სამი-ოთხი იქ—ხუთი-ექვსნი უნდა მოვთავსებულიყავით

ერთიც გნახოთ, უეცრად შემოვარდა კონდუკტორი მივარდა ერთს ჩვენთან მჯდომარე გლეხს და შეტევით უბრძანა ადგილის დაცლა. რა ექმნა საწყალს გლეხს? დეემორჩილა თავის ბედსა, ადგა, აიღო ხურჯინი და გაჩერდა გამტერებული შუაზე. „მაშ, ბატონო, მე სად უნდა წავიდე? ეკითხება კონდუკტორს...

სად უნდა წასვიდე!... ბევრი ინაღვლა საწყალმა გლეხმა, მაგრამ მაინც დაათმობინეს ფეხით ნაყიდი ადგილი; მოაშორეს თავის ცოლს და ჩასვეს სადღაც სხვაგან. მეორესთან სხვა რიგად მოიქცნენ. ერთს მგზავრს ეძინა. კონდუკტორი მივიდა ბილეთის გასაშინჯად და იმ ნაირად დაუყვირა, რომ საწყალი შეაფეთიანა. უეცრად წამოხტა მძინარე, გამოიღვიძა, შეშლილივით ბოდვა დაიწყო. ახლა სხვისთვისაც მოიცალნენ. უკანასკნელთან მივიდნენ და მალდატანებით უბძანეს, რომ გაეტანა სადმე ანუ მათთვის მიებარებინა რაც თან ბარგი ჰქონდა, იმ აზრით ვითომ იმით გასალვათდებოდა ვიწროობა მატარებელში. მგზავრმა ბევრი იწინააღმდეგა, მაგრამ ვერა გააგონა რა, და ილაჯ გაწყვეტილმა ბრძანებულთ მიაბარა თავისი ბარგი. ბოლოს მიიღო თუ არა, არ ვიცი. საოცარია!.. თითქო განონით ყოველს მგზავრს აქვს უფლება თან იქონიოს თითო ფუთი ბარგი. მაშ რაღას აწუხებენ ხალხს უბრალოდ? მგზავრისა რა ბრალია, რომ გზის გამგეობას წინადვე არ ჰქონდეს გარიცხული სად რამდენი დაეტევა და საქმე რიგზე არ მიჰყავდეს. როგორც იყო უხიფათოთ ჩავედით ქალაქს და მადლობა შევსწირეთ ალლახს, რომ მშვიდობით გადავრჩით.

ტფილისში რომ ჩავედით, კარგად გათენებული იყო, ქალაქს თავისებურად გამოჰღვიძებოდა და ხალხის მოძრაობაც თანდისთან მატულობდა. ჩემს ქალაქში ყოფნას ცოტა ვადა ჰქონდა—ერთი დღის მეტი არ შემეძლო დარჩენა, ამის გამო ყოველგან ვჩქარობდი და მინდოდა დროზე შემეთავებინა ჩემი საქმე და უკუქცეულიყავ. მართალია ცოტა ხანს ვიყავ ქალაქში, მაგრამ, ბევრს ქუჩებს ვესტუმრე; იმისთანა ქუჩებში ვიყავ, საცა ბედნიერი კაცი არ ჩავარდება. იქაურობის უსუფთაობამ გამაკვირვა, მიკვირს და გამკვირვებია, თუ როგორ არ ხედვენ მაგებს დედა ქალაქის პოლიციის „ჩინოვნიკები." ჰსხვანს ცხვირში ბამბა დაცული დადიან. საყიდელები ბევრი მქონდა, მაგრამ სიძვირის გამო ვერათფერს ვერ მივეკარი. მინდოდა ქართული წიგნები მეყიდნა, მაგრამ რომელ წიგნის მაღაზიაშიაც კი შევედი პასუხად მივიღე—არ გახლავთო. ბოლოს იმედ გაწყვეტილი წამოსვლის დროს ბაზარში შევემთხვიე მთელს ხროვას ქართულას წიგნებისას. აი აქ დავინახე რო ქართული ახალი მწერლობა გაჩენილა და ბაზრის დაზგაზე სუფევს, მაღაზიების გადაწყვის შემდეგ ქართული მწერლობა ამ ყოფაში არისო. მივახლოვდი დაზგას, მაშინვე თვალში შემომიჩხირდნენ ეთერიანები, ალექსიანები და სხვა მაგისთანა ბევრი—ები და ანი. წიგნები რიცხვით ბევრია, მაგრამ ვაცმა, რომ აიღოს და ეს წიგნები დაჯანდროს-გასწუროს, ერთი ზომიერი წიგნი არც კი გამოვა... ამ წიგნების რაზმში ჩამდგარა ჩვენი „ტერ-გაბრიელიანცის" შედგენილი თვით-მასწავლებელი.—ამ წიგნის დანახვაზე მომაგონდა ერთი ამბავი: ერთ ქვეყანაში ჰსცხოვრებდა ერთი კაცი, რომელს სახელად ერქვა—ფინთო-მაჭმადი.—ის იყო ბედით საწყალი, შეძლებით გლახაკი, მასთან ძუნწი და ძვირი და ერთი ყოვლად საძაგელი რამ და მასთანავე შესაბრალისი და სასაცილო. იმ ქვეყანას ბედი ისე დაუტრიალდა, რომ ეს ფინთო-მაჭმადი ამორჩეულ იქმნა იმამად. ერთხელ, როცა მიიწვიეს ეს ფინთო-მაჭმადი მიცვალებულის დამარხვაზედ, მაჭმადი დასწვდა მიცვალებულს და ყურში რაღაც ჩაჰჩურჩულა. ხალხი გაოცდა ამაზე, და როცა დასაფლავება გაათავეს, ჰკითხეს ფინთოს: „რა ჩაუჩურჩულე იმ მკვდარს ყურშიო?" მან უპასუხა, რომ მე მკვდარს უთხარიო, რომ თუ ვინიცობა საიქიოს ჰკითხონ ამ ქვეყნის გარემოებას, შენ უამბე, რომ ფინთო მაჭმადი იმამადა ჰზის თქო და მაშინ თვითონვე მიხვდებიან, რა დარაჯაზეა ეს ჩვენი ქვეყანა." ახლა ჩვენი ქართულის მწერლობისა არ იყოს, ვინც გაიგებს, რომ ვიღაც „იანცი" ქართულის ენის ოსტატობას ჰსჩემობს, მაშინ ის

გაიგებს რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს ახალი ქართული მწერლობა.—აბა ვინ „იანცი“ და ვინ ქართული წიგნის შედგენა? უჰუდო ხარი თავისთვის არ იყო, სხვას ბუზებს უგერებდაო. თუ იმ „იანც“ შეუძლია, ურჩევ თავის გვარს მოეხმაროს და ნუ დაამახინჯებს სხვის ენას, იმისათვის უცნაურს.... ას ჯერ ას და აფსუს ენავ, რომ ამისთანა ოსტატების ანაბარად დაშთომილხარ, უბრალოთ იჩაგრები, გილალატეს და ზურგი შემოგაქციეს!.. აფსუს!. წიგნების გამყიდველმა ბევრი იმედები მომცა და მით მანუგეშა. თუ მართალია, ვთხოვ ღმერთსა გულით და სულით, ის იმედი არ გაგვიმტყუნოს.

დღეს მცხეთობაა. ხალხი სულ იქით მიეშურება ზოგი ფაიტონით და ზოგი ფეხით. მეც მივყევი იმათ მდენარეობას და მივედი ვაგზალში. ქალაქის ვაგზალი დღეს წარმოადგენდა თვალის ამაჭრელებელ სურათს. იმისი ბექანი და არე სჯულამდისინ იყო გატენილი სხვა და სხვა ჯურის ხალხითა: ქართულად თავ დასურული და რუსულად მორთული ქალები, ქალები კუდებითა და უკუდოთა,—ლამაზები და მახინჯები, კაცები მაღალის კასრებით, რუსულის „ფურაჟკებით“—სხვილები როგორც რუმბი და წვრილები როგორც ჭომარეთის ლაგლაგი პრჭყინვალე ეპოლეტებით, ხმალ-დეზებიანი; სათვალ-პანსნებიანი; ხელში თაიგულებით კანტოები, მუშები თავიანთ განუშორებელის კურტნებით და მთვრალი სალდათები—ირეოდნენ ქერდიგასავით და გაჰქონდათ ერთგვარი გუგუნი. პირველსავე შემთხვევაში მე ბილეთის აღებას შევუდგე, მაგრამ შენს მტერს დაემართოს, მკითხველო, ის შეწუხება, რაც მე და სხვა ბილეთის ამღებლებს დაგვემართა. იმოდენა რიცხვ-დაუდებელს ხალხს უნდა აეღოთ ბილეთები ერთ პატარა ჯუჯრუტანიდამ. უწინ ბილეთებს სამს ადგილას ურიგებდნენ, ეხლა, არ ვიცი რა მიზეზით, ბილეთები მარტო ერთს ადგილს იყიდებოდა. წარმოიდგინეთ, ხალხი რა მდგომარეობაში უნდა ჭყოფილიყო! ვისაც უნდოდა ბილეთის აღება, უნდა ჩავარდნილიყო ხალხის ჯგუფში. მინამ ბილეთი ეღირსებოდა, რამდენი მუჯლუგუნი, რამდენი ტანჯვა და ვაივაგლახი უნდა აეტანა! მეტი რა ჩარა მქონდა, მეც ჩავდეგი ხალხის ჯგუფში. შენი მტერი ჩავარდეს იმისთანა ალაგას! ოთხივე კუთხიდამ მომაწვნენ. ერთის მხრით ეს მოწოლა და მეორეს მხრით სიცხე გულს მიღონებდნენ. გავიწურე ოფლში, უფრო მეტი მალა ჩემს ზურგს და მუცელს დაადგა. ისე შემავიწროვეს, რომ მეგონა ჩემი ტანი გაპრტყელდა მეთქი. ძლივს მეღირსა ბილეთის აღება და გამოვიხსენი ჩემი თავი. რო გამოვედი იმ ჯგუფიდამ უნებლივ ვშინჯე ჩემი ტანი, მართლა ხომ არ გავპრტყელდი მეთქი, მაგრამ მადლობა ღმერთსა—არა.—უეჭველია, დღეს რკინის გზის პატრონები შეიძინებდნენ საკმაო ფულს. განა ურიგო იქმნებოდა, რომ კასსირების რიცხვი მომატებული ყოფილიყო და ხალხი არ შეეწუხებინათ? საქმე ის კი არ არის, რომ მარტო ფული შეიძინონ, საქმე ის არის, რომ ვისგანაც აქვთ ეს შეძინება, იმათთვისაც იზრუნონ......

დიდი ხანია მე სურვილი მქონდა მცხეთობას მცხეთას მენახა. სხვა და სხვა საქმების გარემოებამ დამიშალა. აგერ დღეს მომეცა შემთხვევა, მისის ნახვისა. მაგრამ ჩემდა საუბედუროდ ჩემი სურვილი ისე არ ასრულდა, როგორც მე მინდოდა. „ობოლი რომ საქორწილოდ გამოვაო, მთვარე პირველი ღამიდვე ამოვაო“. მე მინდოდა სხვა ფერივ გამესინჯა, მაგრამ გარემოებამ თავისი ჰქმნა. რკინის გზით მატარებელი გვიან გამოვიდა ქალაქიდამ, ამის გამო დავგვიანდი და როცა ამოვედით მცხეთას, მზე ჩასწურვაზე იყო. სისარულით ჩამოვხტი მატარებლიდამ და გავექანე, მაგრამ ამაოდ! მივედი თუ არა მონასტრის გალავანთან, მზემ მიღალატა—ჩავიდა. ამ ჩამოღამებამ სულაც ფუჭად ჩამიტარა ყოველი ჩემი განზრახვა—ვერაფერი ვერ დავათვალიერე. ამის შენიშვნას კი მოვასწარ, რომ მცხეთის ეკკლესიას და ახალციხესთან ახლო მდებარე სათვარის ეკკლესიას ერთმანეთში ცოტათი მგზავსება აქვთ. მაგრამ შენობა, სიტურფე და მხატვრობა სათვარის ეკკლესიისა ბევრათ ჰსჯობია; სათვარის თლილი ქვა უფრო კარგად არის ნაკვეთობით და მხატვრობა უფრო წმიდათ არის გამოყვანილი. მეორე მატარებელმაც დაიგვიანა და მის გამო ცოტა დრო მომეცა იქ ყოფნისა. ვიყავი იქ პატარა ხანს და ვათვალიერებდი იქაურობას. იმ წამს მცხეთა წარმოადგენდა რაღაც უცნაურს სანახაობას. მთვარე რაღაც უფერულად, მწუხარედ ანათებდა იქაურ არე-მარეს, რომელიც დღევანდელის დღესასწაულობის გამო გამოცოცხლებულიყო. გარშამო მთებიც ზოგან მოჩრდილულნი და ზოგან მთვარის შუქზედ განათებულნი როგორღაც დაღვრემილად გადმოჰყურებდნენ მცხეთას. არ ვიცი მე მეჩვენნენ ამ სახით, თუ მართლაც ესე იყო.

სხვისა არ ვიცი და მე კი როცა ვხედავ ამ გვარს ნაშთსა წარსულის დროებისას, მონასტერს და ეკკლესიას, მამა-პაპათაგან გამშვენიერებულს და ჩვენგან ხავს მოკიდებულს, გულზედ მომაწვება ხოლმე ლოდივით რაღაც გაუგებარი დარდი-ნაღველი და მგონია, რომ ჩემს გარეშემო ყოველივე ჩემსავით დარდობს და ნაღვლობს. წინ გამორბენს ხოლმე ბუნდად ის, რაც ყოფილა; თვითვეული ქვა ენას ადგამს ხოლმე და მიამბობს საკვირველს ამბებს მისას, რაც არსებულა და რაც აღარ არის. ხშირად გულიანად ამომიოხრნია, დამანებებია იქაურობისათვის თავი და მივვარდნია, რომ გული ჩემი დაიწვა და დაიდაღა!..

საათის შვიდი იყო. დრო იყო წასვლისა. ყვირილი, ცემა-ტყეპა, მუზიკა, ქარი, მტვერი, ზურნის ძახილი მასთან განუშორებელი დაფის რახა-რუხი, ფაიტონების ხრიალი—აი რას წარმოადგენდა მცხეთის ვაკზალი. ხალხი ისე ირეოდა, რომ ნემსის ყუნწის ადგილი აღარ იყო. ამ ქარიშხალში და აყალ-მაყალში ერთმანეთს ახრჩობდნენ, სცემდნენ სტყეპდნენ, ისმოდა „პოლიციესკი!“ ბილეთების აღებაში იმისთანავე ტანჯვა იყო, როგორც ქალაქში. აგერ მატარებელიც მოვიდა და ხალხი, როგორც ცხვარი მარილსა, მიესევოდა მატარებელს. ხალხი შელაგდა, მაგრამ ვაი იმ შელაგებას! მეც შევედი ერთს მატარებელში, ხოლო ადგილი კი არ მღირსა. ის მატარებელი, რომელშიაც მე ვიყავ, ხალხით ისე გაიტენა, როგორც ქაშაყი თევზი ბოჩკაში. აქ ისხდნენ მრავალ ჯიშისა და ჯურის ხალხი, აქ ნახავდით ბევრს დარეჯნებს და ლუარსაბებს, ბევრს სუტ-კნეინებს, ჩასუქებულ სოფლელ პატარძლებს, ჩინოვნიკებს; კინტოები რაღათ დააკლდებოდნენ. მემაშინემ დაუსტვინა, მატარებელი დაიძრა და ჩქარის სიარულით გაქანა ღამის სიბნელეში. საცა კინტოა, იქ მხიარულება და მეტადრე ჩხუბი აუცილებელია. ჩემს გვერდით იჯდა ვიღაც რუსი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, ხასიათით ცოტა ფცხუკიანი იყო. კინტოებმა თურმე იცოდნენ ესა და აუტყდნენ იმ საწყალს, შეაფცხუკიანეს და ისე გული მოუყვანეს, რომ იძულებული გახდა ეთქვა „არმიაშკი.“ ახლა ძაღლი დააბით და კინტოები აუშვით. ისე შენ მტერს დაემართოს, მკითხველო, რაც იმ საწყალს დამართეს! მოუვიდათ ჩხუბი იმას და კინტოებს. ერთი ლაზათიანად მიტყეპეს ის საწყალი. ამაობაში ბევრ ქალს გულ-შემოყვარათ და წყლებით მოაბრუნეს. ამ ამბავს მოუსწრო „კონდუკტორი“ და მშვიდობიანობა ჩამოაგდო. შემდეგ მიუბრუნდა და ეუბნება თავის ამხანაგს: „აქ მშვიდობა ყოფილა, წავიდეთ სხვა მატარებელში.“ წარმოიდგინეთ, ჩვენ მატარებელში, რომ მშვიდობა იპოვეს, მაშ სხვაგან რაღა იქმნებოდა?!...

ს. ბაგრელი.

4-ს ოკტომბერს.

---

## ჩვენის ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა *)

„ხალხს მხოლოდ განათლებით შეუძლიან გამდიდრდეს და გონიერად გამოიყენოს თავის შრომის ნაყოფი“

ლაველე.

„ცოდნა არს ძლიერება ანუ ძალა.“

ბეკონი.

„იგი არს საძირკველი ხალხის კეთილდღეობისა.“

ვივერშამ.

### I

საითკენაც მიდგება და მოდგება კაცი, ყველგან ესმის გაცხარებული ლაპარაკი სასოფლო სასწავლებლების გამართვის თაობაზე. „სასწავლებელი გვინდა. ჩვენ ხალხს თუ სასწავლებლები არ გავუმართეთ, ცუდათ იქმნება მისი საქმეო.“ სასწავლებლები, სასწავლებლები და კიდევ სასწავლებლები—აი სიტყვები, რომლებსაც მრიელ ხშირათ იმეორებს ეხლა ჩვენი საზოგადოება; მაგრამ ისე ხშირათ კი არა, როგორც რვა წლის წინეთ. მაშინ თითქმის დიდი და პატარა იმ კაცების წრიდამ, რომლებიც სიტყვით ხალხის კეთილ-დღეობის მოყვარენი იყვნენ და საქმით კი არა, დიდს მღელვარებაში იყო სასწავლებლის თაობაზე. ბევრს მოხუც კაცს, რომელიც, მინამ ბატონ-ყმობა გადავარდებოდა, სწუწნიდა ხალხს და სხვა და სხვა სასრებით ისაკუთრებდა ხალხის ნაშრომს, მხოლოთ სასწავლებელიღა ჰქონდა სალაპარაკოთ. ზოგიერთები ცარიელ ლაპარაკს არ სჯერდებოდნენ. ესენი მთავრობის მინდობილობით დააქროლებდნენ ცხენებს ქართლსა და კახეთში, რომ რაც არის სასწავლებლები გაემართათ. ამათ კიდევაც გამართეს, მაგრამ როგორი სასწავლებლები? ისეთი სასწავლებლები, რომლების დღეგრძელობა მოუფიქ-

*) ჩვენ ზოგიერთს საგანზედ არ ვეთანხმებით პატივსაცემს დამწერს ამ წერილისას, მაგრამ რადგანაც მისგან გარჩეული საგანი დიდის ყურადღების ღირსაა, ამისთვის ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ წერილის აზრი მკითხველსაც გავაცნოთ

რებელი საქმე იყო. ერთი მითხარით, რა ხეირი უნდა ჰქონოდა სასწავლებელს, როდესაც ისინი იმართებოდნენ იმისთვის კი არა, რომ მათის შემწეობით ხალხი ფეხზე წამოეყენოთ, თვალები აეხილოთ, ჭკუა-გონება მოძრაობაში მოეყვანოთ და აჩვენოთ ნამდვილი გზა ცხოვრებისა: არამედ იმისთვის რომ ეს „მოდა" გასულდათ, რომ სასწავლებლის გამართვით კაცი ჯილდოს ადვილად მიიღებდა და განათლებულ კაცების წრეშიაც ჩაეწერებოდა. რამდენმა მღვდელმა გამოიკრა სხვა და სხვა ჯილდო? მგზავრი საქართველოს ბევრ კუთხეში შეხვდება მღვდელს ვერცხლის საათით, რომელიც მიუღია მას მისთვის, ვითომ დიდი შრომა ეხმაროს სასწავლებლის დადგინებისათვის თუმცა კი, როგორც ბოლოს გამოჩნდა, არც ერთს იმ ამათგანს, რომელნიც ჯილდოების გულისათვის ხალხის განათლების ასპარეზზე ფრიალებდნენ, არავითარი შრომა არ უხმარიათ სასწავლებლის საკეთილოდ. გული მოუკვდება კაცს, როცა კაცი წარმოიდგენს მას, რასაც ეს ვაჟ-ბატონები ჰსჩადიოდნენ ქვეყნისა და მთავრობის თვალის ასაბმელად. ყოფილა მაგალითები, რომ მთავრობის მინდობილობით დიდი კაცი მოჰსდგომია კარს ერთს ვისმე მღვდელს, სასწავლებლის მოთავეს—სასწავლებლის გასასინჯავად. ეს უკანასკნელი ერთის ფაცა-ფუცით დატრიალებულა, მოუგროვებია პატარა ყმაწვილები თავის სახლში; მცოდნე ყმაწვილები დაუსხამს წინა სტოლებზე; გვერდით მოუსხამს თავის შვილებიც. აი შებმანებულა დიდი კაცი ამ გვარად ხელდახელ მომზადებულ სასწავლებელში. მღვდელი მასწავლებელი ერთს თავის შვილს აკითხებს ანბანას; მეორეს ათქმევინებს ლოცვებს; ბოლოს დროს თვითონ თავის შეგირდებით ამბობს გალობას. დიდ-კაცი აღტაცებაში მოდის და ჰპირდება მღვდელს შრომისათვის ჯილდოს. ამ სურათით არ თავდება კიდევ საქმე. „ფოთფოდაც" (მღვდლის ცოლი) თავს მოუყრის აქედ-იქიდამ პატარა ქალებს, აგროვებს თავის ნაცნობებში სხვა და სხვა ნაქერავებს და ნაქსოვებს და ამ რიგათ ამასაც დიდი კაცი აღტაცებაში მოჰყავს. წამობრძანებულა თუ არა დიდი კაცი და სასწავლებელიც დახშულა და მოსპობილა. მეორე დღეს სასწავლებლის კვალიც არსად ეტყობა. მაგრამ სულიერი მამა კი შეგირდების სიას არ ანებებს თავს და ყოველ წელიწადს ანუ ყოველ წლივ წარუდგენს ხოლმე მთავრობას, რომ რა არი მისი განუწყვეტლი ღვაწლი იქონიოს თვალწინ. ეს კიდევ ცოტაა როგორც შარშაწინ გამოძიებამ გამოაჩინა, ბევრ მღვდელს გახეთისაგან მთავრობისაგან ჯამაგირი უღია მასწავლებლობისა და სასწავლებელი კი არსად ჰქონია. დაუმატეთ ამას ისიც, რომ თავად-აზნაურობის წრიდამ ზოგიერთი კერძო პირები კაცთმოყვარეობაზე თავსა სდებდნენ და ადგენდნენ კერძო საზოგადოებებს იმ აზრით, რომ სასწავლებელნი გაემართათ. ესენი ყველას, ვინც კი სასწავლებელზედ ლაპარაკობდა, კაცთ-მოყვარეთ სთვლიდნენ. ამათი დებიც, რომლებსაც ცოტა-ოდენი განათლება მიეღოთ და უნდოდათ განათლებულ ქალებათ შერიცხულიყვნენ, ზაფხულობით რამდენსამე დღეს მუხლის გვერდზე მოისხამდნენ ხოლმე პატარა სოფლის ქალებს და წერა-კითხვას ასწავლიდნენ. მაგრამ რადგანაც სწავლება ადვილი საქმე არ არის, ამისთვის ჩვენი განათლებული ქალები მალე ბეზრდებოდნენ და საქმეს მამავალის წლისათვის გადაჰსდებდნენ ხოლმე.

ერთის სიტყვით, ხალხის სასწავლებელზე მზრუნველობა, ხალხის განათლებაზე ფიქრი და მეცადინეობა, ერთი ფართი-ფურთით ლაპარაკი იმაზე, რომ ხალხი გაუნათლებელია და სასწავლებლებით უნდა განათლდეს; ერთი ოხვრა და გულის შემატკივრობა ხალხის უვიცობისა და უმეცრებისა გამო—ყველა ეს აღელვებდა ამ შვიდის წლის წინეთ ჩვენში ბევრ მოხუცს და ყმაწვილს კაცსაც. მაგრამ ეს ბევრი მოხუცი თუ ყმაწვილი კაცნი ჰქადაგებდნენ ზემოთ მოყვანილს აზრებს იმისთვის კი არა, რომ მართლა სულითა და გულით სდომნებოდათ ხალხის წინ-წაწევა; რომ ცხადი წარმოდგენა ჰქონოდათ იმისა; რომ თვითონ ისინი შეადგენენ ხალხის ნაწილს; რომ იმათი ბედი და უბედობა ხალხის ბედსა და უბედობასთან ჩართული და გადაბმულია. ესენი ჰქადაგებდნენ და ღელავდნენ იმისათვის, რომ (როგორც ზემოთ ვთქვით) ხალხის განათლებაზე ლაპარაკის „მოდა" იყო და ხომ იცი, მკითხველო, თუ რანაირი მოქმედება აქვს მიბაძვას ჭკუით და გონებით მოუმზადებელ კაცზედ. ამას ისიც დაუმატეთ, რომ თავად-აზნაურობას თავისი სარგებლობა ჰქონდა, როდესაც ეს ჰქადაგებდა გლეხების განათლებას, რა სარგებლობაა? იკითხამ მკითხველი. აი რა სარგებლობა. ჩვენ ვიცით, რომ მინამ ბატონ-ყმობა გადავარდებოდა, მინამ ჩვენ ხალხს დაუდგებოდა 1864 წ., გლეხები შრომობდნენ, წელებზე ფეხს იდგამდნენ, რომ, რა არი, დაეკმაყოფილებინათ თავიანთი ბატონები. ეს უკანასკნელები კი-

დღე თავიანთ მხრით ესარჩლებოდნენ თავიანთ გლეხებს და არავის ანაგვრინებდნენ. აბა ერთი მოიგონეთ, თუ რა დიდი გული ჰქონდათ მუხრანბატონის კაცებს, ანუ რომელიმე მძლავრ ბატონის კაცებს. რისათვის? ამისთვის, რომ მძლავრი ბატონი ყოველგან დაეხმარებოდა თავის გლეხს და არავის დაანაგვრინებდა. მაშინ ასეთი წესი იყო. თვითონ მებატონე თუმცა სჩაგრამდა თავის გლეხს, უმწარებდა ცხოვრებას, ლუკმას პირიდამ ართმევდა, მაგრამ ცეცხლს კი გადიყრიდა თავზე, თუ ვინმე სხვა გაჰბედამდა და მის გლეხს ხელიდამ რასმეს წაგლეჯდა. ბატონის ამ გვარი საქციელი არ იყო საკვირველი, რადგანაც ის გლეხს უცქეროდა ისე, როგორც თავის ლუკმას და ამისათვის არავის აძლევდა ნებას ამ ლუკმის გამოღრღნისას. აი ბატონ-ყმობა გადავარდა; გლეხები განთავისუფლდნენ. ბატონები, რადგანაც ჩვეულნი იყვნენ თავიანთ ყმებზე მზრუნველობას, რასაკვირველია, უნდა რითიმე კიდევ გამოეჩინათ, გამოეცხადებინათ თავიანთი მფარველობა გლეხებზე. ესენი ასეც მოიქცნენ, როგორც ზემოთ ვახსენეთ. ზოგიერთი ბატონები ჰქადაგებდნენ ხალხის განათლებას, მის ფეხზე წამოყენებას; მაგრამ ამათ მფარველობას, ამათ გულშემატკივრობას გლეხის მდგომარეობისადმი ბატონური ხასიათი ჰქონდა და ამისთვის არ შეიძლო და ვერც შეჰძლებდა, რომ ხალხისათვის სარგებლობა მოეტანა.

ასე, ჩვენის სოფლის სასწავლებლებს მფარველებათ ჰყვანდნენ ამ შვიდის წლის წინეთ ერთის მხრით თავად-აზნაურობა (რასაკვირველია აქ უნდა ვიგულისხმოთ რამდენიმე თავადების და აზნაურების სახლობა და არა თუ მთელი თავად-აზნაურობა), მეორეს მხრით სამღვდელოება. ეს უკანასკნელი წოდება ასრულებდა თავად-აზნაურობის გულის წადილს,—და ამ გვარად ორივეს, როგორც სამღვდელოებას, ისე თავად-აზნაურობას, ჰქონდა სახეში მხოლოდ თავისი სარგებლობა. რაც შეეხება გლეხობას, ხალხს, რომლისათვისაც ჰმართავდნენ სასწავლებლებს, ეს გულ-მშრალათ უცქეროდა თავის მფარველების მოქმედებას და თავის გულში ამბობდა: „განა შესაძლებელი საქმეა, რომ ამ მფარველებმა, რომლებიც ორის დღის წინეთ სულს მართმევდნენ, ცოლ-შვილს მიწიოკებდნენ, მშიერ-მწყურვალს მიშვებდნენ, რომ ამ მფარველებმა კარგი რამ მოინდომონ ჩვენთვის? ეს იყო მიზეზი, რომ გლეხები თავიანთ შვილებს აგრე რიგათ არ ჰგზავნიდნენ სასწავლებლებში, რომლებიც რაღაც მანქანების ძალით ხან ჩნდებოდნენ, ხან კიდევ ჰქრებოდნენ. მაგრამ ზოგიერთი მფარველისათვის რომ გეკითხნა, ხალხი რა მიზეზით არ იღებს მხურვალე მონაწილეობას სასწავლებლების გამართვაში, გეტყოდა: „ბატონო, გლეხები ბრიყვები არიან, არა ესმით რა; პირუტყვები არიან სრულებით. ვეუბნებით: „სასწავლებელი გინდათ, უნდა განათლდეთ“. ახლა რა პასუხს გვეუბნებიან? „ჰოო, ბატონო, შკოლა საჭიროა.“ მაგრამ გვშორდებიან და ყველაფერი ავიწყდებათ. ზოგი კიდევ სხვანაირად აგიხსნიდათ. „ბატონო, გლეხებს სასწავლებლებისა ეშინიანთ—ჰგონიათ რომ თუ სასწავლებლებში გაიზარდნენ მათი შვილები, ხელმწიფე სალდათებად წაიყვანსო.“ მაგრამ ყველა ეს ახსნა უმაწვილურია,—და ხალხის გულ-მშრალობას განათლებაზე აქვს და ჰქონდა საზოგადობრივი მიზეზი.

დიდი გამოცანა არ უნდა, რომ რადგანაც სასწავლებლების დაარსებას ცდილობდნენ თავად-აზნაურობა და სამღვდელოება, ამისათვის სასწავლებლებს ხან-გრძელობა არ ჰქონდა და არც ექნებოდა. ქარის შემოტანილს, ქარივე წაიღებსო, ამბობს ხალხი და ეს ანდაზა ზედ არის გამოჭრილი შკოლის ჩვენში მიმავლობაზე. ქარის ძალით დაარსეს სასწავლებლები და ქარისავე ძალით განქრნენ ჩვენ სამშობლოში.

როგორც ზემოთ შევნიშნე, ეხლაც ლაპარაკობენ სასწავლებლებზე, ეხლაც მართვენ; მაგრამ ეხლანდელს ლაპარაკს სასწავლებლებზე აქვს სრულებით სხვა ხასიათი და ამისათვის ეხლანდელი სასოფლო სასწავლებლები დიდათ განირჩევიან უწინდელ სასწავლებლებისაგან, რომლებიც განქრნენ რაღაც მინქანების ძალით დედა-მიწის ზურგიდამ. რა ხასიათი? იკითხავს მკითხველი და აი ამის პასუხი: ეხლა მომატებული ნაწილი იმ კაცებისა, რომლებიც კი მიიდრკიან შკოლების გასავრცელებლად, შეადგენენ ხალხის სისხლს და ხორცს; იგინი არაფრით არ განირჩევიან ხალხისაგან. იგინი არიან მათი გულ შემატკივარნი. ხალხს ეს კარგათ ესმის და აბა წარმოიდგინეთ, თუ რა ბეჯითობით, რა გამრჯელობით, რა თავ-განწირულობით გლეხები ერთმანეთში ფულს აგროვებენ, რომ რა არი სასწავლებლები გაიმართოს. ერთის წლის განმავლობაში რამდენიმე სასწავლებელი გაიხსნა კახეთში და იცით ვის ხარჯზე? ხალხის ოფლით ნაშოვარ ხარჯზე. ხალხი თითქმის ასე ეუბნება თავის მოწინავე კაცებს: „ჩვენ თვითონ თავი არა გვაქვს სასწავლებლების გამართვისა და ამ საგნისა არაფერი არა გვესმისრა. ჩვენ უთაურები ვართ. ჩვენ მხოლოდ ვგრძნობთ, რომ სწავლა გვინდა; ქვეყნიერობის შეტყობა საჭიროა ჩვენთვის, და თუ ჩვენ ასე უსწავლელნი დავრჩით, კიდევ რამდენიმე წელიწადს, მაშინ მიწასთან გავსწორდებით: ეს ჩვენი მშვენიერი მიწა-წყალი სხვებს

დარჩება და ჩვენ კი პირში თით-გამოვლებულნი ვიტოტიალებთ ამ დედა-მიწის ზურგზე. ამისათვის ჩვენ მზათ ვართ სახლებიც ავაშენოთ სასწავლებლებისათვის და ჯამაგირიც ვაძლიოთ მასწავლებლებს; მხოლოდ კი თქვენ ყველამ თაოსნობა გაგვიწიეთ ამ საქმეში, ამოგვირჩიეთ მასწავლებლები და მოგვიწყეთ შკოლები." მართლადაც როგორც ნამდვილად შეტყობილი გვაქვს, ბევრ ადგილას სასწავლებლები არ არის მარტო იმ მიზეზით, რომ ხალხს თავი ერთად ვერ მოუყრია, რომ რა არი დაადგინონ თავიანთი აზრი შკოლის დაფუძნებაზე და ამოირჩიონ მზრუნველები სასწავლებელის საქმის საწარმოებლად.—ისე კი ყველას დიდი სურვილი აქვს და მზათ არის თავის მხრით ყოველივე შემწეობა აღმოუჩინოს სასწავლებელს—სასწავლებლების გამართვაში. მამასახლისებს შეეძლოთ დიდი მონაწილეობა მიეღოთ, მაგრამ საუბედუროდ ესენი არაფერს კისრულობენ და ამისათვისაც, თუმც ხალხს დიდი სურვილი აქვს განათლებისა, სასწავლებლების საქმე ისე ვერ მიდის, როგორც სასურველია, უნამეტნავესად ქართლში.

ამ სახით, ეხლა სასწავლებლების დაარსება, განათლების გავრცელება ხალხის და მის ნამდვილ კეთილ-მყოფელთა სურვილია და ამისათვის ეხლანდელ სასწავლებლებს აქვთ საძირკვლად დემოკრატიული ნიადაგი. ამათ მოელის ხანგრძლიობა, დიდი-ხნობით მოქმედება. თუ ეს ასეა, თუ ეხლანდელ სასწავლებლების გახსნა არის დაფუძნებული თვითონ ხალხის სურვილზე, მის მონდომილობაზე, მის საჭიროებაზე, მაშ რაღა კითხვა უნდა, რომ ხალხის ყველა გულის შემატკივარი, ვისაც კი ცოტა რამ გაეგება, ვისაც კი შეუძლიან კალმის ხელში აღება, ვალდებულია აი ეხლა დაესმაროს სასწავლებლების ხასიათის განმარტებას.

---

## ბრძოლა რომის დასაპყრობლად

(შემდეგი *).

### კონსტანტინოპოლში.

— მე ეგ წინადვე ვიცოდი, რომ ეგრე იქმნებოდა, ჰსთქვა იუსტინიანემ რაღაც უცნაურის ტუჩის პრანჭვითა: მე ყოველთვის მზადა ვარ ხოლმე დავეთანხმო ჩემთა ბრძენთა ვეზირთა იმპერატორის მეუღლე რაღას ბრძანებს?

თეოდორა სწრაფად წამოდგა ტახტიდამ და, უკუაგდო რა სკიპტრა, რომელიც შუა დარბაზში დაეცა, დაიძახა:

— მაშ წარწყმდეს ყოველივე იგი, რაც ამოდენა ხანი ჩემის სიცოცხლის სიქადულს და დიდებას შეადგენდა: წარწყმდეს ჩემი რწმენა იუსტინიანისადმი და მის ქველობისადმი; წარწყმდეს ყოველივე ფიქრი და მზრუნველობა სახელმწიფოს დიდებისა და სახელისათვის. ვაი იუსტინიანეს, ვაი მე და შენც, რომ შენგან მაგისთანა სიტყვები მესმის!

ამის თქმაზედ მან თავზედ წამოიბურა მანტია რომ ამით დაეფარა ტკივილი, რომელიც აუშალა მას ძლიერმა მღელვარებამ. ელდა გამოისახა სენატორთა სახეზედ. იმპერატორმა უთხრა თეოდორას:

— ეს რა მესმის? ნუ თუ თანა-მემცხედრე ჩვენი, ჩვენი მეუღლე, რომელიც სულ შერიგების ჩამოგდებას ჰქადაგობდა მას აქედ რაც მეორედ დაბრუნდა ბელიზარი, ეხლა ჩვენ ომის ატეხას გვირჩევს?

— ომს გირჩევს, ომს, წამოიძახა თეოდორამ და გადიგდო მანტია. მის სახეზედ გამოისახა ბეჯითი აზრი და ამით სახე საოცრად დაუშვენდა.

— მაშ ეგრეა განა, რომ მე შენმა ცოლმა უნდა მოგაგონო ის, რაც შენი დიდება და სახელია! ნუ თუ შენ იქამდე მიხვედი, რომ ბარბაროზთა დაულოცე იმპერია და მათს მუქარას შეუშინდი! მაშ შენ ის იუსტინიანე აღარ ყოფილხარ, რომლის წინაშე ქედს იხრიდა მთელი ქვეყანა, ბიზანტია, თეოდორა. ნუ თუ ჩვენი თაყვანისცემა ცდომილება იყო? ჰოი, იუსტინიანევ....

იუსტინიანე იჯდა თვალებ დახუჭული და ისე უგდებდა ყურს.

— ჰოი, იუსტინიანევ! გაიხსენე საშინელი შეთქმულობა ნიკისა, გაიხსენე რომ ცირკის ორივე დასი და გაცოფებული გლეხობა ბიზანტიისა მოადგა ამ სასახლეს, წაუკიდა ცეცხლი და ყვიროდა: წარწყმდეს მტარვალი ჩვენიო! მაშინ შენ ყველანი გირჩევდნენ, ან გაიქეც და ან დაჰყევიო. ნარზესი აზიაში იყო, ბელიზარი კი მის სახლში მოემწყვდიათ და გარშემორტყმოდნენ. შენ გვერდთ შეგრჩა მარტო თეოდარა და მარტო თეოდორას შერჩა გული ვაჟკაცისა. შენ რომ შენთა მრჩეველთათვის დაგეჯერებინა, და ან გაქცეულიყავ, ანუ დაჰყოლოდი მაშინ ყოველივე რაც გაქვს: შენი ტახტი, შენი სიცოცხლე, შენი დიდება საუკუნოდ დაკარგულ იქმნებოდა. შენ არ იცოდი რა გექმნა და ბოლოს გასაქცევადაც მიიდრიკე კიდეც. მე მაშინ გითხარ: „დაშთი და მოჰკვდი. თუ ეს აუცილებელია! თუ მოსაკდომი ხარ, მოჰკვდი სკიპტრით ხელში და პორფირითა," შენც დამიჯერე და დარჩი და მან დაგიხსნა კიდეც. შენ მოელოდდი სიკვდილს ჩემთან ერთად სამეფო ტახტზე მდგომარე და ამ დროს ღმერთმა მოგივლინა ბელიზარი. მასვე გირჩევ დღესაც. ნუ ჰკოჰმანობ, ჰოი რომაელთა იმპერატორო, ნურას ნუ დაუთმობ ბარბაროზთა, ჰსჯობს ოქროს ალაყაფის კარის ქვეშ მოჰკვდე, ოღონდ მოჰკვდე კი ისე, როგორც იმპერატორი. ეს მანტია შეგინებულია ღერმანიელთ უზომო კადნიერებითა. მე აღარ მინდა იგი და გადამიგდია. ვფიცავ სიბრძნეს უზენაესის ღვთაებისას, რომ ამ მანტიას აღარ წამოვისხავ, ვიდრე ერთად-ერთი გოთი მაინც ჩვენს იმპერიაში კიდევ იქმნება.

ჰსთქვა ეს თუ არა, მხრებიდამ მოიგლიჯა მანტია და ტახტის საფეხურებზედ დააგდო. მაგრამ

---

*) იხილეთ „ივერია" №№ 12, 21, 22, 23, 24, 28 და 32.

შემდეგ კინაღამ თვითონაც არ დაეცა გულშემოყრილი, რადგანაც მღელვარებამ ღონე მიჰხადა. იუსტინიანემ ორივე ხელი მოჰხვია და მიიყრდო გულზედ.

— თეოდორავ, დაიძახა იუსტინიანემ და ცეცხლით აენთო თვალები: ჩემო საკვირველო მეუღლევ! შენ და მხოლოდ შენ იცნობ იუსტინიანეს. ომი და სიკვდილი ბარბაროზთა!

გაოცებამ და ელდამ შეიპყრნა თავ და ბოლო დაკარგულნი სენატორნი.

— დიაღ, ჰსთქვა იმპერატორმა და მიიბრუნა პირი მათკენ: გულის ხმიერნო მამანო, თქვენ ამ შემთხვევაში ჰკვას გადაამეტეთ, მაგრამ კაცურ-კაცობას კი თავი დაანებეთ. მართალია, დიდი სახელია კონსტანტინე იმპერატორის მოადგილეობა. მაგრამ არაფერი სახელია თქვენისთანა კაცებზედ ბატონად ყოფნა მე ვშიშობ რომ ჩვენნი მტერნი მართალს ამბობენ, ვითომც კონსტანტინემ გადმოიტანა აქ მხოლოდ ცარიელი სახელი, მხოლოდ მუმია რომისა; სული რომისა კი ამოფრენილა და წასულა. ვაი ამისთანა სახელმწიფოს! მავისთანა სახელმწიფო თუნდა თავისუფალი იყოს, თუნდა რესპუბლიკა, მაინც კიდევ ჩაფლობილ იქმნება სამარცხვინო საფლობში. თქვენ იმისთანა ბატონი გინდათ, რომ როგორც ჯაგლაგს ცხენებს გერეკებოდეს საფლობიდამ, რომელშიაც მზად ხართ ჩაცვივდეთ, გერეკებოდეს სახრით, სადავით და დეზითა.

ამ დროს კარებში გამოჩნდა ერთი პატარატანში მოხრილი კაცი; ჯოხზედ დაბჯენილი კოჭლობით წამოვიდა და პირდაპირ იუსტინიანეს ტახტთან მუხლი მოიდრიკა.

— რომაელთა იმპერატორო, ჰსთქვა ნარზესმა როცა წამოდგა ფეხზედ: მე ავად მყოფი ვიწექ ლოგინში და იქ მომავიდა გულს საკვნესი ამბავი მასზედ. რაც შემოუბედნიათ ჩვენთვის ბარბაროზთა და რაზედაც დღეს აქ თვენ განაჩენი უნდა დაჰსდოთ. მე წამოვვარდი ლოგინიდამ და ძლივ მოვახწიე აქამდე: მე მინდა თვით შენგანვე შევიტყო: ნუ თუ მთელი ჩემი დღენი სულ სულელი ვიყავ, რომ შენ გვთლიდი დიდ და სახელოვან მმართველად? მე ჩემი ყავარჯენი სარდლობისა უნდა ღრმა ჭაში ჩავაგდო. თუ იგი ხელთ უნდა მეპყრას სახელითა და პატიოსნებითა? მარტო ერთი სიტყვა მითხარ: შერიგება, თუ ომია?

— ომია, ომი, magister militum, უპასუხა სახე განათებულმა იუსტინიანემ.

— მაშ გამარჯვებაც ჩვენია, იუსტინიანევ! დაიძახა ნარზესმა და უკუ-აგდო ჯოხი: მომეც ხელი შენი, ჰოი იმპერატორო, მინდა გემთხვიო.

ჰსთქვა ესა და ბაჯბაჯობით ავიდა ტახტის კიბეზედა.

— მე ვხედავ, დიდებულო, უთხრა ნარზესს თეოდორამ დაცინებით: რომ შენ ბოლოს თავი კაცად გამოიჩინე. შენ ყოველთვის წინააღმდეგი იყავ გოთებთან ომისა. და ეხლა რა დაგემართა? იქნება მარტო ეხლა იგრძენ, რას ნიშნავს სახელი?

— სახელი რაა? დაიძახა ნარზესმა: დეე მაგ ფერადს საპნის ბუშტსა უკან ჰსდიოს ბელიზარიმ, მაგ დიდმა ბაშვმა. აქ სახელის შოვნაზედ კი არ არის ლაპარაკი, სახელმწიფოს დიდებაზეა. ვიდრე გოთთა მხრით არაფერს შიშს არ მოველოდი, მე სპარსეთთან ომის მქადაგებელი ვიყავ. ხოლო შენ, დედოფალო, შენის ღვთის-მოყვარეობითა და ბელიზარმა თავისის ხლმითა იმოდენად გულზედ მოიყვანეთ იმ კრაზანების ბუდე, რომ ეხლა მთელი ბუდე აიშალა და ჩვენზედ წამოვიდა. ეხლა შიში იქიდამ მოდის, და ამიტომაც ნარზესი გოთთან ომის ატეხის რჩევას იძლევა.

— ძლივს იმ დღეს შევესწარ, ჰსთქვა იუსტინიანემ: რომ ჩემს დედოფალს და ნარზეს ვხედავ, ერთისა და იგივე აზრისანი არიან.

ამის შემდეგ იუსტინიანემ მოისურვა კრების დათხოვნა, მაგრამ თეოდორა მიჰსწვდა ხელში და უთხრა:

— მოითმინე, ჩემო მეუღლევ. მომისმინე და შეუდეგ ერთს ჩემს რჩევას კიდევ. ამ ბრძენთ-დიდებულთა ამა სასახლიდამ ნურსად ნუ გაუშვებ ხვალამდე. ელდა ნუ გეცათ, წარჩინებულნო დიდებულნო! ამ ხანად თქვენს სიცოცხლეს არაფერი შიში არ ემუქრის. ხოლო მე ვიცი თქვენის ენის ამბავი, თქვენ ხომ საიდუმლოს ვერ შეინახავთ, ვიდრე ენას არ მოგჭრიან. რომ ენა არ მოგჭრათ, სხვა ღონისძიებას ვიხმართ—აქ დაგკეტავთ ხელმჰწიფეო, შენს წინააღმდეგ შეთქმულობაა, თუმცა შენი სიკვდილი არ უნდათ, მაგრამ უნდოდათ, რომ ამ საქმეში შენთვის ძალა დაეტანებინათ და შენს უნებურად გოთებთან ომი შენთვის ეკისრებინათ. ხოლო დღეს შენ თვითონ ინებე ომი. დღესა თუ ხვალე შეთქმულნი თავის საქმეს დაიწყობენ; დეე დაიწყონ, გზა მივცეთ, ნუ დავუშლით, თორემ თუ შეიტყეს, რომ უიმათოდ აღსრულდა კიდეც მათი წადილი, ხელს აღარ გამოიღებენ და ხელიდამ წაგვივლენ. შეთქმულობაში ურევია ბევრი საშიში და ძალიან საეჭვო კაცი და ძალიან, ძალიან მდიდარნიცა, იუსტინიანევ! ძლიერ სანანური იქნება, თუ ისინი ჩემს მახეში არ გაებმიან.

— მე ვიცოდი, რომ შეთქმულობა არის, ჰსთქვა იუსტინიანემ: ნუ თუ იგი ეგრე მალე მოწიფულა? ნუ თუ ხვალ დილაზედ უნდა მოეხდინათ?... ჰოი, თეოდორავ, სახელმწიფოსათვის უფრო საჭირონი ჩვენა ვართ, ვიდრე ნარზესი და ბელიზარი...... შენ, ჩვენთა დარაჯთა უფროსო, აქედამ არავინ არ გაუშვა, ვიდრე ნარზესი არ მოვა აქ. თქვენ კი, ღვთის-მოყვარენო და ბრძენნო მამანო, ვიდრე აქ იქმნებით, დააკვირვეთ გონება ყოველს მას, რაც დღეს აქ მოხდა და ჰკვა ისწავლეთ. ნარზეს მე გამომყევი.

(შემდეგი იქნება.)

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ უძრავი ქონება ქვემოხსენებულთა, მიღებული ბანკისაგან გირაოდ, დაინიშნება საჯარო გასასყიდად, თანახმად § 15 ამ ბანკის წესდებისა, რადგანაც ბანკის წესდებით დადგინებული ვადის თვით წინ შემოსატანი ფული ქონების პატრონთა არ შემოუტანიათ.

გასყიდვა შეიძლება გაუქმებულ იქმნას მხოლოდ მაშინ, როცა ბანკში შემოსატანს ფულს პატრონნი შემოიტანენ.

| სახელი და გვარი მამულის პატრონთა. | რა გვარი მამულია. | სად და რა ადგილას არის მამული. |
|---|---|---|
| წერეთელი, ეფემია გოგიას ასული . . . . . . . . . | სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ყოველგვარის შენობებითა და მიწითა ზომით $32^1/_2$ ოთხ-კუთხე საჟენი. | ქ. ტფილისში, 1-ს განყოფილების 4-ს ნაწილში, სამების ქუჩაზედ, სამების ეკკლესიის ახლოს. |
| ტერ-მიკირტიჩიანცი, ქრისტეფორე ნიკიტისძე . . . | სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველგვარის შენობითა და მიწითა ზომით $634^1/_2$ ოთხ-კუთხე საჟენი. | ქ. ტფილისში, 2-ს განყოფილების 12 ნაწილში, ნიკოლაევის ქუჩაზედ ჩუღურეთში. |
| ზემიანსკისა, ნატალია ივანეს ასული . . . . . . . . | ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველგვარის შენობითა და მიწითა ზომით 518 ოთხ-კუთხე-საჟენი. | ქ. ტფილისში, 2 განყოფილების 10 ნაწილში, ბაღების ქუჩაზედ. |
| ბურდულოვი, ალექსანდრე სოლომონისძე . . . . . . | ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი ყოველგვარის შენობითა და მიწითა ზომით 600 ოთხ-კუთხე საჟენი. | ქ. ტფილისში, 2 განყოფილების 11 ნაწილში, ავჭალის ქუჩაზე. |
| სუფხანოვი, ივანეს ასული. . | ა) ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და ბ) ორი სამ-სართულიანი ქვითკირის დუქნები, ორი ორ-სართულიანი და თერთმეტი ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები. | ქ. ტფილისში, ა) 2 განყოფილების 7 ნაწილში და ბ) 2 განყოფილების 14 ნაწილში, ჩუღურეთში. |
| თეთრაძე, გლახა ზურაბისძე . | ა) სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი თავის სამ-სართულიანი მიშენებულ შენობითა და ყოველგვარის შენობითა და ბ) ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ სართულიან სამზარეულოთი და იმის ქვეშ მიწით, ზომით 125 ოთხ-კუთხიანი საჟ. | ქ. ტფილისში, 1 განყოფილების 1 ნაწილში, დავიდოვის ქუჩაზედ. |
| პავლიევი, იაკობ სიმონისძე. | ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი შენობებითა და მიწით, ზომით 72 ოთხ-კუთხე საჟ. | ქ. ტფილისში, 1-ს განყოფილების 5 ნაწილში, ნემეცების ქუჩაზედ. |
| ტერ-ზახაროვი, მაია კოზმიევის ასული . . . . . . . . | ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი მიწით, ზომით 18 ოთხ-კუთხე საჟ | ქ. ტფილისში, 2-ს განყოფილების 12 ნაწილში, ჭავლაბარში. |
| საგინოვი, კნ. მიხაილ პაატისძე . . . . . . . . . . | სახნავი მიწები, საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით სულ 2074 დღიური 420 ოთხ-კუთხე საჟ. | თელავის მაზრის სოფ. ზემო-ხოდაშნიში, ახალ დაბაში და ახაშენში. |
| აბხაზი, კნ. ირაკლი ალექსანდრესძე . . . . . . . . . | სახნავი და სათიბი ადგილები და სავენახე ადგილი (ნაფუზარი) ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი ეზოთი და ხე-ხილიანი ვენახი, ზომით სულ 177 დღიური 7 ოთხ-კუთხე საჟ. | ქ. ტფილისის მაზრის სოფელ თხინვალში. |
| სალაგოვი, კნ. იასსე ქაიხოსროსძე . . . . . . . . | სახნავი, საძოვარი და სათიბი მიწები და ტყე, ზომით სულ 212 დღიური 150 ოთხ-კუთხე საჟ. | ტფილისის მაზრის, სოფელ ბორბალოში და რუმისში. |
| ერისთავები, რაფაელ და იოსებ დავითის ძენი . . . | სახნავი და სათიბი მიწები ტყით, ზომით სულ 900 დღიური. | თიანეთის მაზრის სოფ. ბოჭორმაში. |
| ერისთავი, კნ. გიორგი (კაზო) გიორგის ძე. . . . | სახნავი, სათიბი და საძოვარი მიწები ტყით, ზომით 800 დღიური. | თიანეთის მაზრის სოფ. ბოჭორმაში. |
| ბებუთოვი კნ. დავით მელიქ-ზადოვის ძე . . . . . . . | საძოვარი მიწები ტყით და ხე-ხილიანი ვენახი, ზომით 208 დღიური 378 ოთხ-კუთხე საჟ. | ტფილისის მაზრის სოფ. წყნეთში. |

| სახელი და გვარი მამულის პატრონთა. | რა გვარი მამულია. | სად და რა ადგილას არის მამული. |
|---|---|---|
| შალიკოვები: კნ. კონსტანტინე როსტომის ძე, ნიკოლოზ, გიორგი, მიხეილ და მართა დიმიტრის ძენი და კნეინა სალომე პანტელეიმონის ასული . . . . . . | სახნავი, სათიბი და საძოვარი მიწები და ხეხილიანი ვენახი, ზომით 1446 დღიური 2294 ოთხ-კუთხე საჟენი. | გორის მაზრის სოფ სკრაში. |
| ბაბაევი, ანდრია მიხეილის ძე . . . . . . . . . . | სახნავი და საძოვარი მიწები ტყით, ზომით 10ა დღიური 320 ოთხ-კუთხე საჟ. | ტფილისის მაზრის სოფ ერტისში. |
| ფანტუხელი, ოტია გიორგის ძე . . . . . . . . . | სახნავი მიწა, ზომით 80 დღიური. | თიანეთის მაზრის სოფ. ბაგინიანთ-კარში. |
| გარუშიძე, ივანე პაატის ძე. | სახნავი მიწა, ზომით 11 დღიური 2230 ოთხ-კუთხე საჟენი. | გორის მაზრის სოფ. თორთისში. |
| ბარათაშვილები: კნ იოსებ, გიორგი და დავით, კნეინები: მარიამ და ბარბარე ივანეს ძენი. | სახნავი და საძოვარი მიწები, ზომით 536 დღიური, 1920 ოთხ-კუთხე საჟ. | ტფილისის მაზრის სოფ. კამარლოში. |
| თარხან-მოურავი, კნეინა მარიამ ბიძინას ასული . . . | სახნავი და სათიბი მიწები ტყით, ზომით სულ 545 დღიური, 1645 ოთხ-კუთხე საჟენი. | გორის მაზრის სოფ. ცხოვერში. |
| ამილახვრები: კნ. ივანე და კნეინა ელისაბედ თეიმურაზის ძენი . . . . . . . | სახნავი და საძოვარი მიწები, ზომით 151 დღიური 175 ოთხ-კუთხე საჟენი. | გორის მაზრის სოფ. ნაწრეტში. |
| ხახაშვილი, გიორგი ქიტესას ძე . . . . . . . . . | ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი მიწით, ზომით 80 ოთხ-კუთხე საჟენი. | ქ. ტფილისში, 2-ს განყოფილების 11 ნაწილში, ავჭალის ქუჩაზედ. |
| ადამაშვილი, გიორგი ადამის ძე. . . . . . . . . | ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ-სართულიანი მიშენებით და მიწით, ზომით 90 ოთხ-კუთხე საჟ. | ქ. ტფილისში, 1 განყოფილების 1 ნაწილში. |
| საყვარელიძე, მინადორა ზურაბის ძე . . . . . . . | სახნავი მიწა, ზომით 25 დღიური 600 ოთხ-კუთხე საჟ. | გორის მაზრის სოფ. ზეგოთში, ცოცხნარში და ზინდისში. |
| ვართანოვი, მინას მანუკას ძე | ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი ზედ მიშენებულ სახლით და მიწით, ზომით 57 ოთხ-კუთხე საჟ. | ქ. ტფილისში 2-ს განყოფილების 13 ნაწილში, ჰავლაბარში. |
| მესტიევი, სედის ოსპარ ოღლი. . . . . . . . . | ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ზედ მიშენებული ერთ სართულიანი სახლით და მიწით, ზომით 547 ოთხ-კუთხე საჟ. | ქ. ტფილისში, 1 განყოფილების 9 ნაწილში, ბოტანიკურ ბაღის მახლობლად. |
| მირიანოვი, ნინო დავითის ასული. . . . . . . . | ხე-ხილიანი ვენახი, ზომით 1,440 ოთხ-კუთხე საჟენი. | გორის მაზრის სოფ. ხიდისთავში. |
| ჯანაგოვი, ივანე იაგორას ძე . . . . . . . . | ორი ხე-ხილიანი ვენახი, ზომით 1 დღიური 1,800 ოთხ-კუთხე საჟ. | გორის მაზრის სოფ. ცხინვალში. |
| პოტეხინი, ვასო ივანეს ძე. | ვენახი, ზომით 3,600 ოთხ-კუთხე საჟ. | გორის მაზრის სოფ. პატარა თამარაშენში. |
| ვაჩნაძე, კნეინა მართა მიხეილის ასული . . . . . . | ვენახი, ზომით 3 დღიური. | სიღნაღის მაზრის სოფ. კარდანახში. |
| ვაჩნაძე, კნ. გიორგი ნიკოლოზის ძე. . . . . . . . | ვენახი, ზომით 1 დღიური, 1,200 ოთხ-კუთხე საჟენი. | სიღნაღის მაზრის სოფ. ბაკურციხეში. |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Октября 1877 г. Типографія Е. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე